# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 8-9 აგვისტო. 2022 წ. №113-114 (9451-9452) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

# რუსეთის ცბიერი პოლიტიკა – ჯოჯოხეთი საქართველოსთვის...

## აგვისტოს ომიდან 14 წელი გავიდა!

**რუსეთ-საქართველოს ომიდან 14 წელი გავიდა. 2008 წლის 7 აგვისტოს, პირველად ცივი ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ღია სამხედრო აგრესია განახორციელა, რის შემდეგაც მის მიერვე ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა.**

კრემლი საქართველოს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში დაემუქრა, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან გამომშვიდობება მოუწევდა. მოსკოვმა მუქარა აასრულა, 1991-1993 წლებში რუსეთის ძალისხმევით საქართველოში ლეგიტიმური ხელისუფლება დაემხო, თბილისმა ცხინვალზე და სოხუმზე კონტროლი დაკარგა, მსხვერპლის სახით 25 000-ზე მეტი ადამიანი მიიღო, რასაც საკუთარ ქვეყანაში 300 000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი დაემატა. ეკონომიკა 70%-ით შემცირდა, რამდენი ადამიანი დაიღუპა იმ პერიოდში ძალადობრივი გზით ან შიმშილით, ამის სტატისტიკა არ არსებობს.

ომის შემდგომ საქართველო დსთ-ში გაწევრიანდა, რუსულ საოკუპაციო ძალებს კი „სამშვიდობოს“ მანდატი მიენიჭათ. ოკუპაცია 1993 წელს არ დასრულებულა, მას 1998 წელს გალში, 2004 წელს კი ცხინვალში შედარებით მცირე მასშტაბის სისხლის ღვრა მოჰყვა. პერიოდული სროლები, რაც ზოგ შემთხვევაში მსხვერპლით სრულდებოდა, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

იხ. 5 გვ.



## აშშ-ის მისია ეუთო-ში მოუწოდებს რუსეთს, გაიყვანოს თავისი ჯარები ომამდელ პოზიციებზე

**„საქართველოში რუსეთის შეჭრიდან მე-14 წლისთავთან დაკავშირებით, მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, გაიყვანოს თავისი ჯარები ომამდელ პოზიციებზე 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად და გააუქმოს საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება“,** — წერს აშშ-ის მისია „ტვიტერზე“.



## სალომე ზურაბიშვილი: საქართველოს გამძლეობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა!

„1801,1921, 1992, 2008 — ეს თარიღები თითოეულ ქართველს სამუდამოდ ემახსოვრება. ისინი რუსეთის შეიარაღებული აგრესიისა და ოკუპაციის დაუნდობელ პოლიტიკას ასახავენ. საქართველოს გამძლეობა უფრო მტკიცე აღმოჩნდა. ჩემი ფიქრები აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებთანაა“!..



## რუსუდან შარაძე: სოსო გოგაშვილის დატერორებული ვახტანგ გაბელია მოსაკლავად დამდევდა!.. ⑥

## ავთანდილ სილაგაძე: თუ საზღვრებს ჩავკეტავთ, სადამდე მივალთ?! ④

## რა რისკებს ქმნის ათასობით რუსული პასპორტი საქართველოში ⑦



## მხოლოდ ქართველ „ნაცებს“ შეუძლიათ ასეთი გამორჩეული სიყვარული ③

# იმედი ბოლოს კვდება!..



## აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიებია!

**აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მე-14 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.**

როგორც გამოქვეყნებულ განცხადებაშია აღნიშნული, აშშ ადასტურებს მხარდაჭერას საქართველოს მიმართ.

**„14 წლის წინ, რუსეთმა დაიწყო საქართველოში შეჭრა, აგრესიის უკანონო აქტი სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ. დღეს, ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს მხარდაჭერას საქართველოს მიმართ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიებია. რუსეთის მიერ მისი მეზობლების ტერიტორიების ოკუპაცია უნდა დასრულდეს. არა ოკუპაციას“!,** — ნათქვამია განცხადებაში.

## საქართველოს კიდევ ერთხელ მოუწოდებს რუსეთს, შეწყვიტოს უკანონო და პროვოკაციული მოქმედებები!

**ოკუპაციის მე-14 წლისთავზე, რუსეთი არ ასრულებს ევროკავშირის შუამავლობით დადებულ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და აფართოებს საკუთარ უკანონო კონტროლს ოკუპირებულ რეგიონებში,** — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც საგარეო უწყებაში აცხადებენ, **საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეში შელახვა, ეთნიკური დისკრიმინაცია და ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის საკუთარ სახლში დაბრუნების უფლების დარღვევა კვლავაც რჩება რუსეთის უკანონო ოკუპაციის მძიმე ჰუმანიტარულ ტვირთად.**

**...ამ მძიმე ფონზე, გარდამტეხი როლი ჰქონდა 2021 წლის 21 იანვარს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელშიც სამართლებრივად დადასტურდა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს რეგიონების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია და მათზე ეფექტური კონტროლი და სწორედ რუსეთს დაეკისრა პასუხისმგელობა ადგილზე ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების უხეში დარღვევის ფაქტებზე. აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც 2008 წლის რუსეთის-საქართველოს ომის პირველ სამართლებრივ შეფასებას წარმოადგენს, ცხადყოფს, რომ ამაოა რუსეთის ფედერაციის მრავალწლიანი მცდელობა, თავიდან აირიდოს სამართლებრივი პასუხისმგელობა უკანონო ოკუპაციასა და მის შედეგებზე. საქართველო განუხრელად განაგრძობს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელებას და მოწადინებულია, რომ დიპლომატიური და სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით, საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შესაძლებელი გახადოს ქვეყნის გამთლიანება და მშვიდობიანი განვითარება, საოკუპაციო ხაზით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენა და საერთო ევროპული მომავლის მშენებლობა.**

## უკრაინის საგარეო უწყება: რუსმა სამხედრო დამნაშავეებმა უნდა აგონ უმკაცრესი პასუხი

**უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო მტკიცე მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და მოითხოვს ქვეყნის ტერიტორიების ნაწილის დეოკუპაციას,** — ამის შესახებ ნათქვამია უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის დაწყებიდან 14 წლისთავთან დაკავშირებით.

**„რუსეთი განაგრძობს აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს წინააღმდეგ, ოკუპაციის ქვეშ ჰყავს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი, უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს საქართველოს ამ ტერიტორიებზე. უკრაინა მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში“,** — აცხადებენ სამინისტროში.

ამავე განცხადების მიხედვით, იმის გამო, რომ მსოფლიო საზოგადოებისგან რუსეთმა სათანადო პასუხი საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაზე არ მიიღო, 2014 წელს რუსეთმა გააგრძელა აგრესიული ქმედებები უკრაინაში — დაიკავა ყირიმი და დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ნაწილი, ხოლო 2022 წლის 24 თებერვალს სრულმასშტაბიანი მოქმედებები დაიწყო.

**„დარწმუნებულნი ვართ, რომ შესაძლებელია რუსეთის ფედერაციის აგრესიული პოლიტიკის შეჩერება საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების რეჟიმის მკაცრი დაცვისა და იმ ქვეყნების სრული მხარდაჭერით, რომლებზეც მოსკოვი ახორციელებს აგრესიას. შესაძლებელია საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიების ნაწილის დეოკუპაცია, ხოლო რუსმა სამხედრო დამნაშავეებმა უნდა აგონ უმკაცრესი პასუხი“.**

## ყოვლად უსაფუძვლო დასკვნების საპირწონედ!

პრეზიდენტის ადმინისტრაცია განმარტავს, რატომ არ წარადგინა ზურაბიშვილმა ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატად გიორგი კალანდარიშვილი:



**„2022 წლის 5 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის ცესკო-ს თავმჯდომარისა და ცესკოს წევრის თანამდებობებზე ასარჩევად კანდიდატურების წარდგენასთან დაკავშირებით, როგორც უმრავლესობის, ასევე ოპოზიციის მხრიდან გაკეთებული კომენტარები და ყოვლად უსაფუძვლო დასკვნები სხვა არაფერია თუ არა საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და პოლიტიკური პოლარიზაციის მეტად გაღრმავების მცდელობა.**

**ცესკოს მოქმედი თავმჯდომარის, გიორგი კალანდარიშვილის კანდიდატურის პარლამენტისთვის არწარდგენა კატეგორიულად გამორიცხავს ბატონი გიორგი კალანდარიშვილის პროფესიონალიზმის, მისი გამოცდილებისა და საქმიანობის პრეზიდენტის მიერ არაჯეროვნად შეფასებას. როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, პრეზიდენტმა გიორგი კალანდარიშვილის კანდიდატურა ორჯერ უკვე წარუდგინა პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად. თუმცა, მისმა კანდიდატურამ ორჯერვე ვერ მოიპოვა საჭირო ხმების რაოდენობა, შედეგად ორჯერვე მხოლოდ ექვსი თვის ვადით იქნა არჩეული.**

**ცესკოს თავმჯდომარედ და წევრად მუდმივად ერთი და იგივე კანდიდატურების წარდგენა და მათი მხოლოდ ექვსი თვის ვადით არჩევა ხელს არ უწყობს ცესკოს, ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტის გაძლიერებას და დემოკრატიულ განვითარებას.**

**5 აგვისტოს პრეზიდენტმა პარლამენტს ცესკო-ს თავმჯდომარედ და წევრად ასარჩევად ის კანდიდატურები წარუდგინა, რომლებიც ღია კონკურსის წესით შეარჩია შესაბამისმა საკონკურსო კომისიამ. კანდიდატთა შერჩევით კომისიამ დაადასტურა მათი პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია. შესაბამისად, კანდიდატების მიმართ უპატივცემულობის გამოხატვაა განცხადებები, რომლებიც მათი არჩევის პროცესში მონაწილეობის არმიღებას ეხება.**

**პრეზიდენტის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს პროცესში ახალი პროფესიონალების ჩართულობის ხელშეწყობას, ცესკო-ს დემოკრატიულ და ინსტიტუციურ გაძლიერებას, ამ მნიშვნელოვან თანამდებობაზე ასარჩევად ფართო პოლიტიკური კონსენსუსისა და მაღალი ლეგიტიმაციის მქონე კანდიდატურების გამოვლენას. ცესკოს ინსტიტუციური გაძლიერება და საარჩევნო კანონმდებლობის ამ მიმართულებით დახვეწა ასევე გათვალისწინებულია ევროკავშირის რეკომენდაციებში, რომელთა შესრულებაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად არის საჭირო“.**

◎ „ცხელი ზაფხული“

## იყუჩე, ბალღო!



**ჰიდრომეტცენტრი** ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურაა, რომელიც ცვალებადი სიზუსტით გვამარაგებს ამინდის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგნოზებით.

სინოპტიკოსთა ვარაუდი განსაკუთრებით აქტუალურია ზაფხულში, როცა მოსახლეობის ის მცირედი ნაწილი, ვისაც სახელმწიფო სამსახურში დასაქმების პატივი ხვდა წილად, შვებულებას იღებს და ოჯახთან ერთად დასასვენებლად მიემგზავრება.

პარალელურად, არსებობს არაპროფესიონალთა კონტიგენტი, რომელიც პოლიტიკური მოლოდინების ფრქვევაშია გაწაფული და არანაკლები კომპეტენტურობით გამოირჩევა მოვლენათა განვითარების სცენარის განჭვრეტისას.

დიახ, არავითარი დიპლომი და უმაღლესი განათლება არ სჭირდება იმ დასკვნამდე მისვლას, რომ თუ სააკაშვილის გახრწნილების პროცესი შეუქცევად ხასიათს იძენს, მისი ყოფილი თუ ჯერაც შემორჩენილი ორთოდოქსი მომხრეები და სატელიტები, როგორც ზემოთ უკვე ნახსენები „დილეტანტები“ გვპირდებოდნენ, ძვირფას დროს უქმად კარგავენ და, ტრადიციისამებრ, საზოგადოებას უაზრო ბაქიბუქით ასაზრდოებენ.

არადა, ისინი არ იყვნენ, ცხელი ზაფხულითა და რუსთაველზე დაუშლელი გრანდიოზული მიტინგებით რომ გვემუქრებოდნენ?

რომ ჰკითხო, ბევრი მათგანი სამშობლოს დამაქცევარი არეულობების ორგანიზებაშია ჭიპმოჭრილი და ამ საქმეში საამაყო წარსულითაც იკვეხნის, მაგრამ, უკვე მერამდენედ, ვერ გათვალეს უმარტივესი ფაქტორები, რამაც, ადვილი შესაძლებელია, მთელი დარჩენილი წელიწადი ერთ ადგილას მახათის გაყრაში გაატარებინოთ:

1. სექტემბერში ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატია და ერთ-ერთ ჯგუფს თბილისი მასპინძლობს.

2. ნოემბერ-დეკემბერში ყატარში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს და არა გვგონია ჩვენმა ახალგაზრდობამ თუ ძველგაზრდობის სოლიდურმა ნაწილმა სპორტული დღესასწაულებით ტკბობას ვაითანამემამულეთა უკვე ყელში ამოსული „ვოზდუხა“ ტექსტების მოსმენა ამჯობინოს.

3. ხელმოცარულ ოპოზიციონერთათვის ცეცხლის შესანთებად აღარც დასავლეთს სცალია — მოსყიდული ევროპარლამენტარები, სენატორები და კონგრესმენებიც ადამიანები არიან და საკურორტო სეზონს არდადეგებს უთმობენ.

4. და მთავარი: წავიდა ის დრო, როცა მეფისნაცვალ-ელჩების ერთი წარბშეხრილი გადმოხედვა კანონსა და კონსტიტუციაზე ძვირად ფასობდა.

რაც შეეხება არასამთავრობოთა პარპაშს, მათ ლაგამი, ალბათ, ახლო მომავალში საკანონმდებლო ორგანოში შესატანი შესაბამისი კანონპროექტის მიღებით ამოედებათ. იგივე შეიძლება ითქვას სახალხო დამცველის ახალი კანდიდატურების შესარჩევ პროცედურებზე, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, ეს დესტრუქციული ორგანო მთელი ქართველი ხალხის სამსახურში უნდა ჩააყენოს.

მიაქცევდით ყურადღებას — ამჯერად სიტყვა არ დაგვისველებია ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად აუცილებლად შესასრულებელი 12-პუნქტიანი „საშინაო დავალების“ თაობაზე. კაცმა რომ თქვას, ხაზგასასმელი არც არაფერია, რადგან ვისაც ყოფნა-არყოფნის ტოლფასი აღნიშნული საკითხის წარმატებით გადაჭრა სისხლხორცეულად აღელვებს, ისინი პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში რეგულარულად იკრიბებიან და პუნქტობრივად მსჯელობენ, ხოლო მათი მჩატეწონოსანი ოპონენტები მხოლოდ ტაბელის გადაბრუნებისა და ტელეკამერების წინ პოზიორობისთვის იცლიან...

**გია პლატონიშვილი**

# მხოლოდ ქართველ „ნაცებს“ შეუძლიათ ასეთი გამორჩეული სიყვარული



**„ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებთან კამათს, აზრი არა აქვს — რაც არ უნდა ფაქტები გადმოულაგო, მაინც ვერაფერს გახდები, ყველას ერთი და იგივე პასუხი აქვს გამზადებული: ეს მიშას არ გაუკეთებია, ტყუილია, აბრალებენ, ეს დადგმულია, მონტაჟია და ა.შ. ასობით ნაწამები და წამებით დახოცილი ადამიანების ფოტოები რომც დაუდო წინ ან, — სიკვდილს გადარჩენილი, ბიზნეს და ქონება წართმეულების, ციხეგამოვლილების სასამართლოში მიცემული ჩვენებები, — აზრს ვერ შეაცვლევინებ. ბევრჯერ მიცდია, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ, თითქმის, უშედეგოდ — არგუმენტების არქონის გამო, მთხოვდნენ: კარგი, აღარ გვინდა, ნუღარ გავაგრძელებთ ამაზე კამათსო. ვნებდებოდი, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავკარგავდი ზოგიერთ ძალიან დიდი ხნის მეგობარს ან ნათესავს. ეს კი არცერთ მხარეს არ გვსურდა!..**

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ თემებზე პოლემიკისგან თავის შეკავებამ, სამწუხაროდ, მაინც გამოიღო თავისი უარყოფითი შედეგი იმ მხრივ, რომ კონტაქტები (უშუალო თუ ტელეფონით) უფრო იშვიათი და ხანმოკლე გახდა, რაც სავსებით ახსნადია — შევარდნაძის მოშორების შემდეგ, აგერ 20 წელია ქალი თუ კაცი, ახალგაზრდა თუ ასაკოვანი, შეიძლება ითქვას, ყველას სასაუბრო თემა პოლიტიკაა, ანუ არ არსებობს საუბარი პოლიტიკური ამბების ჩართვის გარეშე. ჯერ მარტო „ნაცებზე“ ვლაპარაკობდით პირველი 10 წელი,





მეორე 10 წელი კი — ორივეზე, „ნაცებზეც“ და „ქოცებზეც“, ანუ სალაპარაკო არეალი ორჯერ გაიზარდა (რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიოში მიმდინარე უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენებზე)! ბოლო წლებში კოვიდმაც დიდად შეუწყო ყველაფერ ამას ხელი — კონტაქტები აგვიკრძალეს, ტელეფონით საუბარი კი კოვიდის და, განსაკუთრებით, კოვიდვაქცინაციის თემაზე, ისევე, როგორც პოლიტიკურ თემაზე, საზოგადოების გახლეჩის და დაპირისპირების ახალი მიზეზი გახდა. ჰოდა, როცა შენი მეგობარი ან ნათესავი სხვა პლატფორმაზე დგას და ერთმანეთთან ტკბილად დაწყებულ საუბარს ბოლოში დაპირისპირებამდე მიჰყავხარ, რისი სურვილიც არც ერთს გაგაჩნია და არც — მეორეს, ბუნებრივია, საუბარიც მალე სრულდება და, ურთიერთობაც ნელ-ნელა, გვინდა ჩვენ ეს თუ არა, მაინც ცივდება.

ჩვენგან განსხვავებით, ეს ძალიან ახარებს სწორედ იმათ, იმ ძალებს, ვისი თაოსნობითაც იწყება ომები, ეწყობა რევოლუცია-გადატრიალებები და, რომელთა მიზანიც, თითქმის უკვე მიღწეულ მსოფლიო ბატონობასთან ერთად, დეპოპულაციაც არის — სხვადასხვა მეთოდით კაცობრიობის შვიდი მილიარდით შემცირება! ამ მეთოდებიდან უმთავრესი და უსაშინელესი გახლავთ ორი — განუწყვეტელი და მზარდი რაოდენობის ნაძალადევი ვაქცინაციის გზით ადამიანების დასნებოვნება ცნობილი თუ ახალი დაავადებებით და, რაც მთავარია, შობადობაზე(!) ზემოქმედებით, ანუ ხელოვნურად გამოწვეული სტერილობის გზით!

**ყოველივე ეს არაფერია იმ ინფორმაციასთან შედარებით, რომელიც სულ ახლახან გავრცელდა. დაუჯერებელია, მაგრამ ბილ გეიტსის მიერ დაფინანსებული ბიოლაბორატორია ადამიანების ასაცრელად (მათი თანხმობის გარეშე!) ქმნის ვაქცინას, რომელიც ვრცელდება, როგორც ვირუსი! ამ, „თვითგავრცელებადი ვაქცინით“ აცრილი ღამურები პასიურად ავრცელებენ ვაქცინას სხვა ღამურებში და, თანდათანობით „ცრიან“ მთელ კოლონიას! გენებზე მოქმედი და ათასი უბედურების გამომწვევი უკვე არსებული ვაქცინები აღარ აკმაყოფილებს ბილ გეიტს და მის საძმოს, ახლა ისეთი რამ მოიფიქრეს, რომელიც მხოლოდ დეპოპულაციაზე მაფიქრალ კაცს თუ მოუვა თავში აზრად!**

საწყის თემას მივუბრუნდეთ. ერთი სიტყვით, ურწმუნოს მორწმუნეს გახდი და დღეში 2-3 კოლოფი სიგარეტის მწეველ ადამიანსაც კი უფრო ადვილად გადააჩვევ წევას, ვიდრე „ნაცმხარდამჭერს“ მოუხერხებ რამეს, — შეაყარე კედელს ცერცვი, წყლის ნაყვაა ყველაფერი! სულ იმაზე ვფიქრობდი, თუ რა იყო ის მთავარი მიზეზი, რამაც ასე წაართვა ამ ხალხს ლოგიკური აზროვნების უნარი, მაგრამ ვერა და ვერ მივაგენი პასუხს და, ამიტომ ხშირად მინატრია კიდეც: ერთი ამათ თავში ჩამახედა-მეთქი! არა, მე იმ „ნაცებს“ და მათ იმ მხარდამჭერებს არ ვგულისხმობ, რომლებიც მატერიალურად კარგად სარგებლობენ თავიანთი „ნაცური“ აქტივობით, არც იმ გაჭირვებულ ხალხს, ვინც მცირედი გასამრჯელოს გულისთვის თანხმდება „ნაცების“ საპროტესტო აქციებში მონაწილეობს და, ცხადია, არც იმ პარტაქტივს თუ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც (ერთნიც და მეორენიც) უხვად ფინანსდებიან დასავლეთის გარკვეული წრეების და საქართველოდან გაქცეული (ნაწილობრივ კი აქ დარჩენილი) იმ „ნაცების“ მიერ, რომლებმაც ასეულობით მილიონი, ზოგმა კი რამდენიმე მილიარდიც(!) იშოვა ხაზინაში ხელების ფათურით (სახელმწიფოს მიერ აღებული სესხების „ოპტიმალური“ განაწილებით), იარაღით ვაჭრობით და შეძლებული ადამიანების უძრავი ქონების თუ ბიზნესის მითვისებით! არც იმათ ვგულისხმობ, — ერთ დროს „ქართული ოცნების“ წევრებსა და მხარდამჭერებს, რომლებმაც, „ოცნებაზე“ განაწყენებულებმა (რისი საფუძველიც ჰქონდათ!), ცალკე მოძრაობა ან პარტია კი არ ჩამოაყალიბეს, არამედ, „ნაცმოძრაობას“ მიეკედლენ და სააკაშვილ-უგულავა-ბოკერია-ოქრუაშვილ-მელია-ვაშაძე-ნათელაშვილ-ხოშტარია-სამადაშვილ-დეკანოიძე-ხერხეულიძე-ებთან გვერდიგვერდ მიუსხდნენ მაგიდას, ხოლო გულის მოსაოხებლად კი **გვარამიასთან** გაიქცნენ მთავარ არხზე. ამათი „ნაცობის“ მიზეზი ასე თუ ისე, გასაგებია, მაგრამ მე ის პატიოსანი ხალხი მყავს მხედველობაში, ვისაც ყოველდღიური დეზინფორმაციით შეუქცევადად გადაუბრუნეს ტვინი და, ასეთი ხალხი არც თუ ისე ცოტაა!

იგრძნეს თუ არა, რომ საფრთხემ გადაიარა („ქართულ ოცნებაზე“ გარედან ზეწოლით თუ „ნაც—ქოცების“ ურთიერთგარიგებით, რაც 2013 წლიდან დაიწყო, „ოცნების“ პირველივე პარლამენტის სხდომიდან), როცა „ოცნების“ უსუსურობაშიც დარწმუნდნენ და დასავლეთის აშკარა მხარში დგომაც იგრძნეს, „ნაცბანდის“ ლიდერებმა ნელ-ნელა თავი წამოყვეს და ნიშნის მოგებით ხმამაღალი განცხადებების გაკეთებაც იწყეს: „ამდენი დანაშაული თუ გვაქვს ჩადენილი, მაშინ რატომ არ გვიჭერთ, რატომ არ გვასამართლებთო“! აი, ამაში კი ნამდვილად ვერ შეედავები მათ, აბსოლუტურად სწორი კონტრარგუმენტია! თავის დროზე რომ მიეხედა „ქართულ ოცნებას“ “ნაცმოძრაობისთვის“ და დამსახურებისამებრ საკადრისიც მიეზღო, დღეს ამდენი პრობლემა არ შეგვექმნებოდა. იმ უამრავ და უმძიმეს დანაშაულთან შედარებით, რაც სააკაშვილს და მის რეჟიმს აქვს ჩადენილი ქართული სახელმწიფოს და ქართველი ერის წინაშე, „პიჯაკების საქმედ“ ცნობილ ხაზინიდან ფულის ფლანგვის, საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის და მკვლელების შეწყალების საქმეებზე მისი გასამართლება, ცხადია, სათვალავში არც არის ჩასაგდები მაშინ, როცა ნაცმოძრაობა, როგორც დამნაშავე რეჟიმი სამუდამო აკრძალვას იმსახურებს, ხოლო მისი ლიდერები კი — მაქსიმალურ სასჯელს! მათთვის რამდენიმეწლიანი პატიმრობა (ისიც, — მხოლოდ რამდენიმე კაცის), როცა ნაქურდალ—მიტაცებული ქონება შერჩათ და, სასჯელის მოხდაც კომფორტულ საპატიმროში, ლამის სანატორიულ პირობებში უწევთ (და, არა ისეთში, როგორშიც თავად ამყოფებდნენ, როცა ხმამაღლა ლაპარაკისთვის ან გაცინებისთვის მთელ საკანს სასტიკად უსწორდებოდნენ, როცა სისტემატურად შეურაცხყოფდნენ და აწამებდნენ, როცა ტუალეტის ქაღალდიც კი არ გააჩნდათ და 5-ადგილიან საკანში 25 კაცი იყო გამომწყვდეული, როცა...), ეს ხსნაა მათთვის, მეორედ დაბადება!

ამიტომ ვუბრუნდები დეზინფორმაციული ხრიკებით გონებადაბინდულებს, მათ მინდა სხვაგვარად მივმართო და, გამოვიყენო ერთი, სკოლის ასაკიდან კარგად ცნობილი, გეომეტრიული თეორემების დასამტკიცებლად მიღებული მაგიური სიტყვა — „დავუშვათ“.

**დავუშვათ, რომ მიშას და „ნაცრეჟიმს“ კარგის მეტი არაფერი უკეთებია 9 წლის მანძილზე (და არც ახლა აკეთებს!), რომ არც წამებას, არც მკვლელობებს, არც სისხლიან დარბევებს, არც უძრავ-მოძრავი ქონების, ბიზნესის „ახევას“, არც მძინარე ოჯახის ჩახოცვას ვერტმფრენიდან, არც ნარკოტრაფიკს, არც აგვისტოს ომში მშვიდობიანი მოსახლეობის გაწირვას, არც აფხაზეთის და სამაჩაბლოს დე იურე დაკარგვას, არც გარეჯის გასხვისებას, საერთოდ არაფერს უარყოფითს ადგილი არ ჰქონია! კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მაშინ მხოლოდ ერთ კითხვაზე გაგვცენ პასუხი: როგორ აღიარებენ ლიდერად, როგორ „მიჰყვებიან საფლავში“ ისეთ „კაცს“ და ითხოვენ მის განთავისუფლებას, რომელმაც როგორც პრეზიდენტობის, ისე შემდგომ წლებში თავისი სამარცხვინო საქციელით თავი მოგვჭრა ვაჟკაც, მებრძოლ ერად ცნობილ, სახელის მოხვეჭასა და სტუმარ-მასპინძლობის ფილოსოფიაზე გაზრდილ ქართველ ერს, როცა:**

იხ. 9 გვ.



# ინფლაცია ზედიზედ მესამე თვეა მცირდება, თუმცა ფასები თითქმის არაფერზე შემცირებულა!!!

**საქართველოში ისევ ორნიშნა ინფლაციაა, თუმცა აქტიური ნაბიჯების გადადგმა უკვე დაწყებულია და ივლისში, ქვეყანაში ფასების ზრდის ტემპი 11.5%-მდე შემცირდა. მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, მოსახლეობა ამას ვერ გრძნობს და ისევ მაღალ ფასებთან უწევს ბრძოლა.**

**ჯერჯერობით მსყიდველუნარიანობის საერთო დონის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის, ამიტოს მთავრობასაც და ეკონომისტების ნაწილსაც ინფლაციური წნეხის შემცირების მიღწეული შედეგით უწევთ დაკმაყოფილება. ისიც საგულისხმოა, რომ რეგიონში საქართველოს გარდა, ყველა ქვეყანაში ინლფაცია მგარდია.**

ეკონომისტ **გიორგი ცუცქირიძის** აზრით, ჩვენთან მაღალი ინფლაცია დიდწილად ეგზოგენურ ფაქტორს წარმოადგენს, ლარის გამყარების დადებითი ეფექტი ინფლაციაზე აისახა და იმპორტირებული საქონლის ინფლაციის შენელებას შეუწყო ხელი.

**„ინფლაციამ არაერთ ქვეყანაში არა მხოლოდ პროგნოზირებულს გადააჭარბა, არამედ ბოლო წლების და უმეტეს შემთხვევებში ათწლეულების რეკორდულ დონეს მიაღწია. 2022 წლის ივნისში თურქეთში ინფლაცია 78.6% იყო, რუსეთში – 15.9%, უკრაინაში – 21.5%, სომხეთში – 10.3%, აზერბაიჯანში – 14.2%, ბელარუსში – 17.6%, მოლდოვაში – 31.8% და ესტონეთში – 21.9% იყო. ევროკავშირის ქვეყნებში ინფლაცია 15-20%-ის ფარგლებშია, ამერიკაში რეკორდულია – 9%, ბრიტანეთში – 9,4%, რაც არ ყოფილა ბოლო 40 წლის განმავლობაში.**

**სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიკური ზრდა წლის ბოლოს მაღალ ორნიშნა ნიშნულთან იქნება, ინფლაციაც შემცირების ტენდენციებს შეინარჩუნებს, საგარეო ფაქტორების მილევის შედეგად და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის პირობებში, თუმცა ბუნებრივია, წლის განმავლობაში მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება“,** – აღნიშნა **ცუცქირიძემ.**

უკვე მესამე თვეა საქართველოში ინფლაციას კლების ტენდენცია აქვს. მიუხედავად რთული გეოპლიტიკური ფონისა და გამოწვევებისა, საქართველოში ფასების საერთო დონის შემცირება შეინიშნება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე **ოთარ ანგურიძე** მიიჩნევს, რომ ეს საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესების კიდევ ერთი დასტურია.

**„განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდამაც კი ვერ იქონია საქართველოში ფასების საერთო დონის ზრდაზე გავლენა, იმ ვითარებაში, როდესაც ყველა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში ფასების რეკორდული ზრდა დასტურდება. საქართველოში ინფლაციის კლებაზე დიდი როლი ითამაშა ლარის კურსის გამყარებამ, რამაც ავტომატურად გამოიწვია იმპორტირებულ სასურსათო პროდუქტებზე ფასების შემცირება, რასაც დაემატა საქართველოში, პირველი 6 თვის მონაცემების მიხედვით, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, რითაც საქართველო გახდა ერთადერთი ქვეყანა რეგიონსა და ევროპის კონტინენტზე, რომელმაც, ამ რთულ დროს, შეძლო ასეთ შედეგებზე გასვლა.**

**ბოლო პერიოდის მოვლენებმა რეგიონში წარმოშვა ძალიან ბევრი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები, თუმცა, კრიზისები ყოველთვის აჩენს ახალ შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს და, მიუხედავად მრავალი შიდა თუ გარე წინააღმდეგობისა, ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს რეგიონში მოწინავე სახელმწიფო“,** – აღნიშნა **ანგურიძემ.**

* * *

არსებულ ვითარებას დადებითად აფასებს ეკონომიკის ექსპერტი **სოსო არჩვაძეც**. იგი ხაზს უსვამს, რომ ინფლაციის დონე უკვე მესამე თვეა იკლებს.

**„ამ ერთი შეხედვით ორდინარული ინფორმაციის მიღმა საკმაოდ საინტერესო პროცესები იმალება. ჯერ ერთი, ინფლაციის დონე ჩვენს ქვეყანაში მესამე თვეა, თანდათან იკლებს და მისი დონე შარშანდელ ივლისთან შედარებით 0.4 პუნქტით დაბალია. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენს ყველა სახმელეთო მეზობელს (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ინფლაციის მაჩვენებელი მკვეთრად გაეზარდა. ამჟამად ჩვენი ქვეყნის ინფლაციას, თურქეთში ინფლაცია უსწრებს 77.1 პუნქტით, რუსეთის ინფლაცია, შესაბამისად, 4.4 პუნქტით, აზერბაიჯანისა კი – 2.7 პუნქტით. თანაც გლობალური მასშტაბით შეინიშნება ეკონომიკური რეცესიისა და ინფლაციის ზრდის ნიშნები – ჩვენთან კი საპირისპირო პროცესები იკრებს ძალას“,** – აღნიშნა **სოსო არჩვაძემ.**

იგი მიიჩნევს, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება და ეროვნული ბანკი ეფექტურად მოქმედებენ.

**„საქართველოში, რომლის ეკონომიკა და მოსახლეობის კეთილდღეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე ნედლეულის და კვების პროდუქტების მიწოდებისა და ფასების კონიუნქტურაზე, უკვე გამოიკვეთა ინფლაციის დათრგუნვის ნიშნები, რაც ნამდვილად იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს. ეკონომიკის ორნიშნა ზრდა და ლარის გამყარება ასრულებენ ერთგვარი „სენდვიჩის ეფექტს“, რომელმაც არტახებში მოაქცია ინფლაციის მაჩვენებელი და არ მისცა მას გაცილებით მასშტაბური მატების შესაძლებლობა.**

**ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყნის ინსტიტუტები, აღმასრულებელი ხელისუფლება და ეროვნული ბანკი მოქმედებენ გაცილებით ეფექტურად, ვიდრე რეგიონის იმ ქვეყნების შესაბამისი სტრუქტურები, რომლებიც, მართალია, ჩვენზე მეტ ბუნებრივ რესურსებს განკარგავენ, მაგრამ „რატომღაც“ მათი ეკონომიკური ზრდა საქართველოსთან შედარებით გაცილებით დაბალია, ინფლაცია კი – გაცილებით მაღალი“,** – წერს **არჩვაძე.**

მიუხედავად დადებითი დინამიკისა, ჯერჯერობით მოსახლეობა ვერაფერს გრძნობს. ეკონომიკის დოქტორის **ირაკლი მაკალათიას** აზრით, ქვეყანაში მართალია შემცირდა ინფლაციის ტემპი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დაიკლებს ფასებიც.

**„არსად არ შემცირებულა ფასები, შემცირდა მხოლოდ ინფლაციის ზრდის ტემპი, ანუ ახლა შედარებით უფრო ნაკლები სისწრაფით იზრდება ფასები. გვაქვს ისევ ორნიშნა მაჩვენებელი და ბოლო 2 წელია ასე გრძელდება, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა საგრძნობლად გაუარესებულია.**

**ის, რომ მომდევნო თვეებში შესაძლოა, შემცირდეს ინფლაციის მაჩვენებელი, უკეთესობის მომასწავებელი სულაც არ არის. ეს ნიშნავს, რომ უკვე გაძვირებულ პროდუქტებზე ფასები შედარებით ნაკლებად გაიზრდება და არა შემცირდება. ანუ მოსახლეობის მსყიდველუნარიანობასა და ცხოვრების დონეზე დადებითად ვერ აისახება.**

**მთავარი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ სურსათის ჯგუფში 16%-იანი ინფლაცია გვაქვს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. სამომხმარებლო ხარჯებში მოსახლეობა ხარჯების 1/3-ს სურსათზე მიმართავს. შესაბამისად, ამ ჯგუფის ინფლაცია ორმაგად მოქმედებს ადამიანებზე უარყოფითად“,** – ამბობსა ანალიტიკოსი **ირაკლი მაკალათია**.

**ბექა დანელია**



# ავთანდილ სილაგაძე: თუ საზღვრებს ჩავკეტავთ, სადამდე მივალთ?!

**„რუსეთის და ბელარუსის მოქალაქეებისთვის გადაადგილებას თუ შევზღუდავთ, ეს არა მარტო ტურიზმზე, შემოსავლებზე და მილიონ ჩვენს მოქალაქეზე აისახება უარყოფითად“, – ასე შეაფასა აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ინიციატივა, რუსეთის და ბელარუსის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესების შესახებ.**

**– როგორც პარტიის განცხადებაშია აღნიშნული, ოკუპანტი ქვეყნიდან შემოსულ ვიზიტორთა ნაკადი ყოველგვარ კონტროლს მიღმაა და შესაბამისი სტრუქტურები ოკუპანტი ქვეყნიდან ჩვენს ტერიტორიაზე შემოსულ მოქალაქეებს ვერ აკონტროლებენ, შესაბამისად, ქვეყანა დაუცველია გამოწვევებისა თუ არსებული საფრთხეების წინაშე. ეს რა გავლენას იქონიებს საქართველოს ტურიზმზე და ზოგადად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე?**

– თუ ვიქნებით ამის ინიციატორი, რომ გადაადგილება ამ ადამიანებზე შევზღუდოთ, ეს არა მარტო ტურიზმზე, შემოსავლებზე და მილიონ ჩვენს მოქალაქეზე აისახება უარყოფითად. რუსეთში საქართველოს ბევრი მოქალაქე ცხოვრობს, ისინი აქ მათ ახლობლებთან ჩამოდიან. ეს ზოგადად, ქვეყანაზე და იმ ადამიანებზე, რომლებიც რუსეთში იმყოფებიან, უარყოფითად აისახება.

**– წინა წლების სტატისტიკას რომ შევადაროთ, მას შემდეგ, რაც რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო, გაზრდილია თუ არა საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე?**

– რა თქმა უნდა, გააქტიურება შეიმჩნევა უფრო მეტად. ვიდრე უკრაინა-რუსეთის ომი დაიწყებოდა, ჩვენ უფრო დივერსიფიცირებული ვიყავით, მაგრამ ვიცით, რომ ახლა უკრაინიდან თითქმის მინიმალურ დონეზე დავიდა ყველაფერი და რუსეთთან მონაცემები ზრდას უჩვენებს.

თუ ვერ მიიღე ის ხორბალი, რაც უკრაინიდან შემოგვქონდა, შესაძლებელია მიიღო რუსეთიდან. ასევე გაზრდილია ჩვენგან გატანილი პროდუქციის რაოდენობა. რა თქმა უნდა, ზრდა შეიმჩნევა ორივე მიმართულებით, ექსპორტ-იმპორტის კუთხით.

**– პოლიტიკოსების ნაწილი კატეგორიულად მოითხოვს, რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებას. რა მოხდება ამ შემთხვევაში და ეს ჩვენზე როგორ აისახება?**

– რაც ნაკლებად ვიქნებით დამოკიდებული ერთ რომელიმე მიმართულებაზე, ქვეყნისთვის უკეთესია, რომელი ქვეყანაც არ უნდა იყოს ის. თუმცა, ალტერნატივა უნდა გვქონდეს. მოცემულ მომენტში არის სპეციფიკური ვითარება. გარკვეულწილად, რუსეთი დაინტერესებულიც არის, რადგან ტურისტული ცენტრები მათ სხვაგანაც ჰქონდათ და ცდილობენ, რომ ჩვენ ბაზარზე შემოვიდნენ. ტურიზმის თვალსაზრისით, ეს დამატებით თანხებს ნიშნავს.

როდესაც ისინი ბლოკირებული არიან მთელი რიგი განვითარებული ქვეყნებიდან, ბუნებრივია, ჩვენი პროდუქცია აინტერესებთ მათ და ამიტომ, მოთხოვნა გაიზარდა. მეორე კუთხით, რუსეთს პროდუქციის რეალიზების პრობლემაც აქვს და ჩვენ საშუალება გვაქვს გვქონდეს ფასდაკლებით. ეს ეკონომიკური თვალსაზრისით, გვაძლევს დამატებით შემოსავალს. პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩვენი პოზიცია გარკვეულია და ყველა თვალსაზრისით მხარს ვუჭერთ დასავლეთს და უკრაინას. ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილება, რომ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა არ გაგვეწყვიტა, ვფიქრობ, სწორი პოლიტიკაა. თუ ჩვენ საზღვრებს ჩავკეტავთ, ეს მხოლოდ ტურიზმის შეზღუდვით არ დამთავრდება, ამას სხვა ჩაკეტვები და სხვა შეზღუდვები მოჰყვება, ამ შემთხვევაში, სადამდე მივალთ?! ყოველ წუთში ომზე არის საუბარი. ისიც არ ვიცით, რა მოხდება, უკრაინაში როგორ დამთავრდება ომი და შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდება. ჩაკეტვა კიდევ უფრო გაართულებს ურთიერთობას და დაძაბავს ვითარებას. ეს ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება?! – სიჩქარე ამ საკითხთან დაკავშირებით, არ ღირს.

**– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის თანახმად, ასევე გაზრდილია ფულადი გზავნილები საქართველოში. რა ციფრები გვაქვს ამ მიმართულებით?**

– რუსეთიდან ფულადი გზავნილები გაიზარდა უფრო მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ ვითარებაში მოხდებოდა. ზოგადად, რუსეთიდან ყოველთვის იყო ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი, მაგრამ ახლა ტემპმა იმატა. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე, რომელსაც შეიძლება დღეს რუსეთის მოქალაქეობაც ჰქონდეს, ფიქრობდეს, რომ ის უფრო მშვიდად იქნება ჩვენთან, რადგან რუსეთში არასტაბილური მდგომარეობაა. ეს მოქალაქეები შესაძლოა საქართველოში დაბრუნებას ცდილობდნენ, რომლებიც დღეს რუსეთში ცხოვრობენ.

**– ამ კვლევის მიხედვითვე, 2019 წელს, როდესაც რუსეთის მოქალაქეები ტურისტებად ჩამოდიოდნენ, დღეს ისინი საქართველოში საცხოვრებლად გადმოდიან და აქ იწყებენ ბიზნესს...**

– შეიძლება იყვნენ არაქართველებიც, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ საწარმოები გახსნან აქ. ეს შესაძლებელია, რადგან საქართველოში ხედავენ უფრო სტაბილურ ვითარებას. ესეც რუსეთ-უკრაინის ომის გამოძახილია, რომ არაქართველები აქ ხსნიან ბიზნესს.

**ესაუბრა**
**ნიკო ჩოხელი**

# ჯოჯოხეთი საქართველოსთვის...

## აგვისტოს ომიდან 14 წელი გავიდა!

(პირველი გვერდიდან) ცხინვალის რეგიონში მდგომარეობა განსაკუთრებით 2004 წლიდან, საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გამწვავდა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი პირველი ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ეწვია, კრემლისთვის ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების რეალური ჩამოყალიბება პრობლემა აღმოჩნდა. ემბარგოს, გაზსადენის აფეთქებისა და ეთნიკური ქართველების საბარგო თვითმფრინავით დეპორტაციის მიუხედავად 2007 წელს საქართველოს ეკონომიკა რეკორდულად — 12.6%-ით გაიზარდა. ორნიშნა ზრდა 2008 წლის პირველ ნახევარშიც შენარჩუნდა. მოსკოვი გადამწყვეტი დარტყმისთვის მოემზადა.



2008 წლის 15 ივლისს რუსეთმა სამხედრო წვრთნები „კავკაზ 2008“ დაიწყო. მისი დასრულების შემდეგ რუსული სატანკო ნაწილები ადგილზე ბრძანების მოლოდინში დარჩნენ. ივლისის ბოლოდან და განსაკუთრებით აგვისტოდან ქართული სოფლების ინტენსიური დაბომბვა დაიწყო, რასაც ყოველდღიურად მსხვერპლი ახლდა თან. მდგომარეობა ვერც 7 აგვისტოს ცალმხრივად გამოცხადებულმა მორატორიუმმა განმუხტა. ამ დროისთვის რეგიონში უკვე შესული იყო რუსული რეგულარული არმიის ნაწილები.

8 აგვისტოს დილით, როცა მთელი მსოფლიოს ყურადღება პეკინისკენ იყო მიპყრობილი და ოლიმპიური თამაშების დაწყებას ზეიმობდა, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია დაიწყო. ამჯერად მას „რუსეთის დროშის ფერებში გადაღებილი ქართული თვითმფრინავით“ თავი აღარ უმართლებია და ომის დაწყების მიზეზად „საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ და „ოსების გენოციდი“ დაასახელა. მოსკოვმა თავიდანვე გაავრცელა ცრუ ინფორმაცია, რომ ქართული არტილერიის დაბომბვებს ცხინვალში 2000 მშვიდობიანი ოსი შეეწირა და რომ ქართველი ჯარისკაცები სარდაფებში ოს ბავშვებს ხვრეტდნენ.

რუსეთს არ დაუკონკრეტებია, რა საჭირო იყო ცხინვალის დასაცავად გორში და სენაკში საცხოვრებელი კორპუსების დაბომბვა და დაცლილი გორიდან უნიტაზების გაზიდვა. მოსკოვს არც იმის ახსნით შეუწუხებია თავი, თუ რამდენი ოსი ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა ბორჯომის ტყეში 1100 ჰექტარის გადაწვით. ომი 5 დღეს გაგრძელდა. დასავლელ პარტნიორებს საქართველოსთვის პირდაპირი სამხედრო დახმარება არ გაუწევიათ, თუმცა მათი და უპირველესად შეერთებული შტატების ძალისხმევით თბილისის თავზე რუსეთის დროშა აღარ აფრიალებულა.

12 აგვისტოს, ცეცხლის შეწყვეტიდან რამდენიმე კვირის მანძილზე ფოთი, ზუგდიდი და გორი კვლავ ოკუპირებული რჩებოდა. პერევი კი რუსეთის ხელში 2010 წლის ოქტომბრამდე რჩებოდა.

პარადოქსულია, მაგრამ კითხვა — ვინ დაიწყო ომი? 2020 წელსაც ისმის. საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს ტერიტორიას 1991 წლის 21 დეკემბრის საზღვრებში ცნობს. ამავე საზღვრებს ცნობდა რუსეთიც 2008 წლის 26 აგვისტომდეც. საქართველოს არმიის არცერთ ჯარისკაცს ეს საზღვარი 1 ნაბიჯითაც არ გადაუკვეთია, რუსეთის ტერიტორიაზე 1 ტყვიაც არ გავარდნილა. თუ ვინმესთვის ეს ფაქტები მაინც არასაკმარისი მტკიცებულებებია, მათთვის პუტინმა 2012 წელს აღიარა, რომ საქართველოში შეჭრის გეგმა გენშტაბმა მასთან შეთანხმებით 2006-2007 წლებში შეიმუშავა.

ომის შედეგად საქართველომ 125 სოფელზე დაკარგა კონტროლი. ცხინვალის რეგიონის სოფლების გარდა, რუსეთმა კოდორის ხეობის - ზემო აფხაზეთის ოკუპაციაც მოახდინა. დაიღუპა 170 ჯარისკაცი, 14 პოლიციელი და 228 სამოქალაქო პირი. 22 ადამიანი დღემდე დაკარგულად მიიჩნევა. ომის პერიოდში 150 000 ადამიანი დევნილად იქცა, მათგან 30 000 საკუთარ სახლებში დღემდე არ დაბრუნებულა. ომს ეკონომიკური ვარდნაც მოჰყვა. 2009 წელს საქართველოს მშპ 3.7%-ით შემცირდა.

### ჩვენ საქართველოს გვერდით ვიდგებით!

როგორც ამერიკის საელჩოს მიერ გავრცელებულ ვიდეომიმართვაშია ნათქვამი, აშშ გააგრძელებს მშვიდობისთვის მუშაობას და საქართველოს გვერდით იდგება.

„გვახსოვს, როგორ დაიწყო ყველაფერი, გვახსოვს დღევანდელი დღე, გვახსოვს რუსული ჯარის საქართველოში შემოჭრა, არ დავივიწყებთ ათობით ათას დევნილს, არ დავივიწყებთ მსხვერპლს, ჩვენ გავაგრძელებთ მშვიდობისთვის მუშაობას, ჩვენ საქართველოს გვერდით ვიდგებით“, — ნათქვამია აშშ-ის საელჩოს ვიდეომიმართვაში.





აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა სულ 5 სახელმწიფომ აღიარა:

ომის დასრულება მშვიდობის საწინდარი არ გამხდარა. საოკუპაციო ძალები ე.წ. საზღვრიდან საქართველოს მოქალაქეებს ყოველკვირა იტაცებენ და გამოსასყიდის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ. ხშირია ტრაგიკული შემთხვევებიც. დავით ბაშარაული, არჩილ ტატუნაშვილი, გიგა ოთხოზორია, ირაკლი კვარაცხელია... ის იმ პირების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც საოკუპაციო რეჟიმმა შეიწირა. 12 წელია გრძელდება მცოცავი ოკუპაციაც.

2008 წელს რუსეთს საქართველოში განხორციელებული ინტერვენცია შერჩა, რამაც 6 წლის შემდეგ უკრაინაში შეჭრისკენ წაახალისა. ყირიმის ანექსია ფაქტობრივად უსისხლოდ განხორციელდა, თუმცა დონბასისა და ლუგანსკის ოკუპაციას 13 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

რუსეთისთვის თავისივე ხელმოწერილი ხელშეკრულება ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც დედამიწის ბრუნვა მზის გარშემო. თავი რომ გავანებოთ ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ს ღალატს, რუსეთმა საქართველოსთან მიმართებით ბევრი ხელმოწერილი ხელშეკრულებაც დაარია, მათგან შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანის გამორჩევა:

1) 1783 წელს გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი, თუმცა რუსეთი კრწანისის ომში საქართველოს არ დახმარებია, 1801 წელს ანექსია განახორციელა, 1811 წელს კი ავტოკეფალიაც გააუქმა;

2) 1920 წლის 7 მაისს რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო, 1921 წლის 25 თებერვალს ხელახლა დაიპყრო;

3) 1992 წლის 24 ივნისის სოჭის, იგივე დაგომისის ხელშეკრულება, რომელიც სამაჩაბლოდან ჯარების გაყვანას ითვალისწინებდა, დაირღვა იმავე წელს, შემდეგ უკვე ახალი მასშტაბით 2008 წელს;

4) 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმება განიარაღებაზე, 27 დღეში, 1 ოქტომბერს გაგრა დაეცა;

5) 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება განიარაღებაზე, ზუსტად 3 თვეში სოხუმი დაეცა;

6) 2008 წლის 12 აგვისტოს 6 პუნქტიანი შეთანხმება, რომელიც ძალების კონფლიქტამდელ მდგომარეობაში დაბრუნებას ითვალისწინებდა, დღემდე არ სრულდება.

მცდარია მტკიცება, რომ რუსეთისთვის პრობლემა რეგიონში ნატოს ჯარების გამოჩენაა. რუსეთისთვის პრობლემა არც პროდასავლური საქართველოა. რუსეთისთვის პრობლემა დამოუკიდებელი საქართველოა!..

## კი მაგრამ, ღმერთი აღარაა, ბნელა? ▸ ისევ ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ ლეგიტიმურობის შესახებ

**გაეროს დეკლარაცია ძირძველი ხალხების უფლებების შესახებ მესამე თავში ხაზს უსვამს ძირძველი ხალხების თვითგამორკვევის უფლებას: „ძირძველ ხალხებს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების თანახმად ისინი თავისუფლად ამყარებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად ახორციელებენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას“.**

„ძირძველ ხალხად ითვლება ის ხალხი, რომელიც ცხოვრობდა თავის მიწა-წყალზე არსებული სახელმწიფო საზღვრების ჩამოყალიბებამდე **სხვა ადგილებიდან გადმოსახლებულთა მისვლამდე“** (ხაზგასმა ჩემია — **ა. თ.**).

ასეთია საერთაშორისო სამართლის ნორმები. ახლა ამ თვალსაზრისით გადავხედოთ ცხინვალის რეგიონს, ისტორიულ შიდა ქართლს, რომელსაც ბოლშევიკებმა 1921 წელს, საქართველოს ანექსიის შემდეგ „სამხრეთ ოსეთი“ უწოდეს, როგორც შემდგომში გაირკვა, წინასწარ გათვლილი მიზნით და ამის საპირისპიროდ შექმნეს „სარკისებური ტერმინი „ჩრდილოეთი ოსეთი“.

აი, რა ცნობას გვაწვდის რუსეთის იმპერიის ყოველწლიური სტატისტიკური კრებული **„Кавказский календарь за 1904 год (ხაზს ვუსვამ — XX საუკუნის დასაწყისია — ა. თ.)** **„Цхинвал-Тифлиская Горийский уезд (наседение) - грузины, армяне, евреи - 3823 (человек) „К. К.“, 1904 г. III отд., стр. 22“...**

**ესე იგი, 1905 წლისათვის ცხინვალში არცერთი ოსი არ ცხოვრობდა!**

ამ უძველეს იბერიულ-ქართულ მიწა-წყალზე ოსებმა ხიზნებად ჩამოსახლება დაიწყეს გვიანფეოდალურ ხანაში. ამ საკითხზე ისევ რუსეთის ისტორიულ საარქივო დოკუმენტებს დავიმოწმებ: „Сборник архивных документов“, გამოცემულს მოსკოვში 1991 წელს.

აი ერთ-ერთი დოკუმენტი, დათარიღებული 1782 წლის 20 დეკემბრით:

**„Доношение осетинских старшин генерал – поручнику П. С. Потемкину... О желании поселится на реке Терек“** (გვ. 177).

ესე იგი, ოსეთის ტომთა ბელადებმა რუსეთის ხელისუფლებისაგან ითხოვეს ნებართვა დასახლებულიყვნენ საქართველოს მთიანეთში, მდინარე თერგის სათავეებში. აქედან დაიწყო ოსთა ინტესიური ექსპანსია ქართლში.

**ასე რომ, ისმის რიტორიკული კითხვა — ვინაა ძირძველი მოსახლეობა ზემო ქართლში?**

**ალექსანდრე თარხნიშვილი,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
ღირსების ორდენოსანი.

**პროფესორ გურამ შარაძის მკვლელობის საქმე ამ დრომდე ბურუსითაა მოცული. გამოძიებას არ ჰყავს ბრალდებული და მეტიც, იმის მიუხედავად, რომ შარაძის მკვლელობის საქმეზე არსებობს არაერთი მტკიცებულება, რომელიც ყოფილი მაღალჩინოსნების დანაშაულებზე მიუთითებს, მის დასადგენად პროკურატურა საგამოძიებო მოქმედებებს არ ატარებს. მოკლული პროფესორის შვილი რუსუდან შარაძე აცხადებს, რომ მკვლელობა შეუკვეთა სააკაშვილმა, ორგანიზატორი იყო დათა ახალაია და შეასრულეს მეგის ქარდავას ზონდერებმა: თემურ ჯგერენაიამ და გია ფაჩულიამ, ხოლო გიორგი ბარათელი მკვლელობის დროს მკვლელობის ადგილზე საერთოდ არ იმყოფებოდა.**

**for.ge რუსუდან შარაძეს ესაუბრა.**



# რუსუდან შარაძე: სოსო გოგაშვილის დატერორებული ვახტანგ გაბელია მოსაკლავად დამდევდა!..

**— „მოჰყვეს სოსო გოგაშვილი ვინ ავალებდა გურამ შარაძის მკვლელობის ოქროს მოწმის დაშინება-დაშანტაჟებას, მტკიცებულებების გაქრობას, სადაა დღეს აუდიოჩანაწერი, სადაც მკვლელობის ორგანიზატორი დათა ახალაია უშუალო მკვლელს ასახელებს და ვინ იცის, იქნებ ყოველდღე სანთელიც დავუნთო“, — შეგიძლიათ დეტალურად გვითხრათ რას გულისხმობთ ამ სიტყვებში და რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს სოსო გოგაშვილს პროფესორ გურამ შარაძის მკვლელობის საქმესთან?**

**რუსუდან შარაძე:** გურამ შარაძის მკვლელობასთან სოსო გოგაშვილს შეხება არ ჰქონია, თუმცა ის თავიდან ბოლომდე კავშირშია ამ საქმის მიჩქმალვასთან, მოწმის დაშინება-დაშანტაჟებასთან და მტკიცებულების გაქრობასთან. ჩემი აზრით, მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმაზეც, ვინ მოკლა მამაჩემი და კიდევ ვინ არიან ამ საქმის ირიბი თუ პირდაპირი თანამონაწილენი. ის მაინც ხომ დანამდვილებით იცის, ვინ ავალებდა არ გამოძიებულიყო გურამ შარაძის მკვლელობა?! ბატონ სოსოს არ ეგონოს, რომ რამეს თუ იტყვის, თვალდახუჭული დავუჯერებ. არავის მივცემ უფლებას, რომ მამაჩემის მკვლელობის საქმე სათავისოდ გამოიყენოს და ვინმეს ხელში იარაღად მაქციოს. პირადი გამოცდილებით ვიცი, რომ აქამდე ამის არაერთი მცდელობა ყოფილა და ახლაც ბევრია ჩასაფრებული.

**— რამდენადაც ვიცი, დათა ახალაიასთან დაახლოებულმა, კუდ—ის ყოფილმა თანამშრომელმა ვახტანგ გაბელიამ კახა მიქაიას უთხრა, რომ გურამ შარაძის მკვლელობის შესახებ ჰქონდა მტკიცებულებები. ის ამტკიცებდა, რომ ვიდეო და აუდიოჩანაწერები გადამალული ჰქონდა უკრაინაში და მზად იყო, ჩამოეტანა, დადგენილიყო მისი ავთენტურობა. მეტიც, მზად იყო დათა ახალიას წინააღმდეგ მიეცა ჩვენება, მაგრამ ამ საქმეს არ მოჰყვა გაგრძელება...**

— დიახ, ირაკლი ღარიბაშვილის პირველი პრემიერ-მინისტრობის დროს, მაშინ, როდესაც ხალხს ჯერ კიდევ ჰქონდა სამართლიანობის აღდგენის იმედი, კახა მიქაიასთან მივიდა კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი, დათა ახალაიას ყოფილი მარჯვენა ხელი — ვახტანგ გაბელია, ზედმეტსახელად „პაპაია“. მისი თქმით, შეეძლო, აუდიოჩანაწერის სახით, მტკიცებულების წარმოდგენა, რომ მამაჩემი მოკლეს სააკაშვილის ბრძანებითა და დათა ახალაიას ორგანიზატორობით. მას სხვა საქმეებზეც ჰქონდა აუდიო-ვიდეომტკიცებულებები და მზად იყო, ყველაფერი მიეწოდებინა გამოძიებისთვის და ხაზგასმით ვამბობ, მხოლოდ მათი ვარგისიანობის შემთხვევაში, დაეკმაყოფილებინათ მისი მოთხოვნები. არაფერი უკანონო ამაში არ იყო. მოწმე ასევე თანახმა იყო, სასამართლოზე პირზე დასდგომოდა ყოფილ უფროსს — დათა ახალაიას, მაგრამ სუს-მა და კერძოდ, სოსო გოგაშვილმა ვახტანგ გაბელია დაატერორა და საბოლოოდ, ისე გადამკიდეს, რომ მოსაკლავად დამდევდა.



ეს ამბავი გავიგე 2017 წელს. თავიდან, დაპირისპირება არც მიფიქრია, მაგრამ გარდაუვალი აღმოჩნდა. მოწმის დაშინების შემდეგ, უკვე დაჟინებით მოვითხოვდი შეხვედრას სოსო გოგაშვილთან, მაგრამ ის უარზე იყო. მაშინ შევუთვალე, რომ მქონდა მოწმეზე ზეწოლის შესახებ მტკიცებულებები და მაინც მოუწევდა ჩემი ნახვა, როდესაც ჟურნალისტებით და კამერებით მივადგებოდი. სწორედ, ამ დროს, გაგიჟებულმა დაურეკა კახა მიქაიას ღია ხაზით. კახას ტელეფონი იმ რეჟიმზეა, რომ ავტომატურად, ყველა საუბარს იწერს.

ასე ჩაგვივარდა ხელთ 26—წუთიანი ჩანაწერი, რომელიც თავიდან ბოლომდე, არის გოგაშვილის მხრიდან საქმის გარჩევა, თუ რატომ გავიგე შვილმა, რომ მამის მკვლელობის საქმეში მნიშვნელოვანი მოწმე გამოჩნდა. ამის შემდეგ, ერთი წელი ბრძოლაში ვიყავით. საბოლოოდ, 2018 წლის 8 აგვისტოს, ჩვენი შეხვედრა მაინც შედგა სოსო გოგაშვილის კაბინეტში. ის დამპირდა, რომ გამოძიებას დაეხმარებოდა, თითქოს დანაპირების შესრულებაც დაიწყო, მაგრამ რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

**— თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია, რა მტკიცებულებაზე საუბრობდა გაბელია და რა ინფომაციის მატარებელი იყო ის ჩანაწერი?**

— ვახტანგ გაბელია ამბობდა, რომ გურამ შარაძის მკვლელობიდან ცოტა ხნის შემდეგ, დათა ახალაიამ საკუთარ კაბინეტში გამართა თათბირი, რომელსაც გაბელიას გარდა, ესწრებოდნენ: ლევან ქარდავა, გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“ და კუდის ორი თანამშრომელი. გაბელიას თქმით, მან ჩაიწერა ზემოაღნიშნულ პირებს შორის საუბარი, თუ როგორ მოიშორეს „პროფესორა“, რაც მათ „პირველმა“ დაავალა. ჩანაწერში, დათა ახალაია ეკითხება თავის ზონდერებს, მკვლელი ხომ არ შექმნიდა პრობლემას, რაზეც უარყოფით პასუხს იღებს. დასახელებულია, აგრეთვე, მამაჩემის მკვლელის ზედმეტსახელიც.

**— 24 ივლისს, „იმედის კვირის“ რეპორტაჟში საუბარი იყო იმაზე, როგორ ვაჭრობდა კომპრომატებით, მათ შორის ნაჩვენები იყო კახა მიქაიასა და სოსო გოგაშვილის აუდიოჩანაწერები. როგორ ფიქრობთ და თუ გაქვთ ინფორმაცია ვაჭრობდა გოგაშვილი გურამ შარაძის მკვლელობის საქმით და თუკი ამ ვერსიას გავყვებით, ვის ევაჭრებოდა სუს—ის ყოფილი მაღალჩინოსანი?**

— დიახ, „იმედის კვირაში“ სოსო გოგაშვილზე გავიდა ცოტნე გეგეჭკორის სიუჟეტი — „სოცდაუცველობიდან მილიონერობამდე“, სადაც ლაპარაკი იყო, თუ როგორ თვალისდახამხამებაში გამდიდრდა სუს-ის მაღალჩინოსანი კომპრომატებით ვაჭრობის შედეგად. კადრებში, ყოველად გაუგებრად, შეპარებული იყო რამდენიმე წამი კახა მიქაიასა და სოსო გოგაშვილის ზემოაღნიშნული საუბრიდან, სადაც გურამ შარაძის ხსენებაც არ იყო და თითქოს, მიქაია და გოგაშვილი ერთმანეთში რაღაცას ვაჭრობდნენ.

ჟურნალისტმა ისიც აღნიშნა, რომ გოგაშვილის ინტერესში შედიოდა ამ ჩანაწერის პრესაში გავრცელება. ვიფიქრებდი, ცოტნე გეგეჭკორი ვერ გაერკვა საქმის ვითარებაში-მეთქი, მაგრამ ამავე სიუჟეტში, ნაჩვენები იყო გაბრაზებული კახა მიქაია ფიზიკურად როგორ იქაჩება ვილაცისკენ და პოლიციელები ცდილობენ მის შეკავებას. ჟურნალისტის ტექსტის ქვეშ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რაღაც ვერ გაიყვეს და მიქაია გოგაშვილისკენ იწევდა საცემად.

არადა, ეს კადრები ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს არის გადაღებული. ასეთი იაფფასიანი სიყალბე „იმედს“ არ ეკადრება. ვისთან და რით ვაჭრობდა სოსო გოგაშვილი, იმედია, გამოძიება დაადგენს. რაც შეეხება მამაჩემის მკვლელობის საქმის მიჩქმალვას, არავის მივცემ უფლებას, რომ სიმართლე დაამახინჯოს. არ გამოვრიცხავ, ვილაცები ღელავდნენ, რომ გოგაშვილის რომელიმე „ეპისტოლეში“ საკუთარ გვარებს აღმოაჩენენ.

რაც შეეხება, თითქოს გოგაშვილის ინტერესში იყო ამ ჩანაწერის პრესაში გავრცელება, ესეც ტყუილია, რათა დააკნინონ სიმართლე. სინამდვილეში, 2018 წლის მაისში, როდესაც ვერაფერს გავხდი, ავდექი და ჩანაწერი დავუგზავნე ხელისუფლების უმაღლეს პირებს და „ოცნების“ თითქმის მთელ ფრაქციას პარლამენტში. ჩემი მიზანი იყო, რომ თავად ენახათ, ვის ჩააბარეს სახელმწიფო. მხოლოდ ამის შემდეგ გავრცელდა პრესაში, თორემ გოგაშვილს სიკვდილი ერჩივნა და ყველაფერი გააკეთა, რომ ასე არ მომხდარიყო. ჩემზე მეტად, ვინ იცის, რა ბრძოლაში ვიყავით. ვაღიარებ — ვემუქრებოდი, რომ ჩანაწერს გავავრცელებდი. იცოდა, გადაყვებოდა და გადაყვა კიდეც.

**— გოგაშვილი თავად ამბობს, რომ აგროვებდა ჩანაწერებს, როგორ ფიქრობთ, რა ინფორმაციის მატარებელი შეიძლება იყო პატიმარი გოგაშვილი?**

— ნებისმიერი სახელმწიფო დგას უშიშროება-უსაფრთხოების სამსახურებზე და ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ სოსო გოგაშვილი სუს-ის უფროსის უბრალო მოადგილე არ ყოფილა, მას განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა მინიჭებული და გავლენით საკუთარ შეფს, ვახტანგ გომელაურს არ ჩამოუვარდებოდა. დარწმუნებული ვარ, სუს-ში მარტო არჩევნების გაყალბების თემაზე მტკიცებულებების მოპოვებით არ იქნებოდა დაინტერესებული და მან უამრავი რამ იცის.

გულწრფელი რომ ვიყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ დაკა-დაკას კინაღამ გადავყევი და ჯანმრთელობა ლამის შემერყა, მაინც მიჭირს მასზე აგრესიულად ლაპარაკი. შემსრულებელზე ჯოხის გადატეხა სიკეთის მომტანი არ უნდა იყოს და რაც მთავარია, ჩემთვის უპირველესია საქმე — შევხვდი, ხელი ჩამოვართვი, დამპირდა. მამაჩემის მკვლელობის საქმე ოღონდ გახსნილიყო, აღარ მაინტერესებდა ადრე რა იყო.

შეხვედრის დღიდან სოსო გოგაშვილის მიმართ აგრესია წარსულს ჩავაბარე და რომ მოხსნეს, მერე ხომ საერთოდ... ახლა ის ჩემთვის მხოლოდ მნიშვნელოვანი მოწმეა. თუ წაიკითხავს ამ ინტერვიუს, მოვუწოდებ, რომ თქვას, მხოლოდ და მხოლოდ, სიმართლე, რაც არ უნდა მწარე იყოს. წესით, კი უნდა ესმოდეს, რომ არავინ ჰყავს, ვინც გამოესარჩლება, მის მიერ აქამდე გავრცელებულმა „სენსაციურმა ფაქტებმა“, ხალხზე ეფექტი ვერ მოახდინეს, იმასაც უნდა ხვდებოდეს, რომ გურამ შარაძის მკვლელობა არჩევნების გაყალბების ყურითმოთრეული თემა არ არის და ამ საქმის გახსნაში თუ მიიღებს მონაწილეობას, ბევრ რამეს ჩამოირეცხავს.

**— წლების განმავლობაში თქვენ მამის ერთ-ერთ მკვლელად ასახელებთ გია ფაჩულიას, რომელიც დღესაც ძალოვან უწყებაში რჩება და რამდენადაც ვიცი, ამ საქმის გარშემო გამოძიება არ დაუწყიათ. ასახელებთ დათა ახალაიას, მეგის ქარდა-**

**გურამ შარაძის მკვლელობასთან სოსო გოგაშვილს შეხება არ ჰქონია, თუმცა ის თავიდან ბოლომდე კავშირშია ამ საქმის მიჩქმალვასთან, მოწმის დაშინება-დაშანტაჟებასთან და მტკიცებულების გაქრობასთან. ჩემი აზრით, მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმაზეც, ვინ მოკლა მამაჩემი და კიდევ ვინ არიან ამ საქმის ირიბი თუ პირდაპირი თანამონაწილენი**



**ვას, სია ძალიან ვრცელია, მაგრამ ამ დრომდე პასუხგაუცემელია კითხვა – ვინ და რატომ მოკლა პროფესორი შარაძე? როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჰყავს ამ საქმეს ოფიციალური ბრალდებულები ამ დრომდე?**

– ამ შემთხვევაშიც, ვეყრდნობი კიდევ ერთი „ოქროს“ მოწმის, მეგის ქარდავას ყოფილი მარჯვენა ხელის ოფიციალურ ჩვენებას, რომლის საფუძველზეც განახლდა საქმის ძიება 2014 წელს. ის ასახელებს ორ სპეცრაზმელს – თემურ ჯგერენაიასა და გია ფაჩულიას, რომლებმაც უშუალოდ შეასრულეს მამაჩემის მკვლელობა. თემურ ჯგერენაია, 2012 წელს, რუსეთში მოკლეს, ხოლო გია ფაჩულია, „ოცნებამ“ დააწინაურა და დღეს არის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის სპეცრაზმის უფროსის მოადგილე.

გია ფაჩულია დაკითხულია და პროკურორის კითხვაზე, იცნობდა თუ არა თემურ ჯგერენაიას, ოფიციალურ ჩვენებაში ასეთი პასუხი გასცა: „თემურ ჯგერენაია მუშაობდა სპეცდანიშნულების სამმართველოში რიგითად, მე მასთან მაკავშირებდა სამსახურეობრივი დამოკიდებულება. ბევრჯერ ვყოფილვართ სხვადასხვა ოპერაციებზე ერთად. როგორც ჩემთვის არის ცნობილი თ. ჯგერენაია გაათავისუფლეს სამსახურიდან, რის შემდეგაც წავიდა რუსეთის ფედერაციაში, სადაც იგი გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი ჩემთვის უცნობია. სავარაუდოდ, როგორც ნათქვამიდან ვიცი თ. ჯგერენაია რუსეთის ფედერაციაში მოკლეს“.



ვახტანგ გაბელია ამბობდა, რომ გურამ შარაძის მკვლელობიდან ცოტა ხნის შემდეგ, დათა ახალაიამ საკუთარ კაბინეტში გამართა თათბირი, რომელსაც გაბელიას გარდა, ესწრებოდნენ: ლევან ქარდავა, გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“ და კუდის ორი თანამშრომელი. გაბელიას თქმით, მან ჩაიწერა ზემოაღნიშნულ პირებს შორის საუბარი, თუ როგორ მოიშორეს „პროფესორა“, რაც მათ „პირველმა“ დაავალა.

**– მუშაობა რომ გაუადვილოთ პროკურატურას, დაასახელეთ ვინ არიან გურამ შარაძის მკვლელობის ორგანიზატორები და ვინ მოიყვანა სისრულეში დანაშაული?**

– 2012 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ჩემმა მეგობრებმა და მე, პროკურატურას ყველაფერი გავუადვილეთ, მივიყვანეთ არაერთი მოწმე – როგორც მკვლელობის თვითმხილველები, ისე მაშინდელი სისტემის თანამშრომლები, აღარაფერს ვამბობ უამრავ ინფორმაციასა და მასალაზე, რაც მივაწოდეთ. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ – ჩვენ რომ არა, საერთოდ არაფერი იქნებოდა და სააკაშვილისდროინდელი ოფიციალური ვერსია დარჩებოდა ოფიციალურ ვერსიად.

თავის მხრივ, პროკურატურამ, ასე თუ ისე, საქმის ხელახალი გამოძიება დაიწყო, დაიკითხა უამრავი მოწმე, საქმეს ბევრი რამ შეემატა და ბოლო-ბოლო, ვინც ჩაიხედავს, სიმართლე ხელისგულზე დევს. თუმცა, ეს არაა საკმარისი. ჩემი აზრით, პროკურატურას დღეს მეტი არაფერი შეუძლია, ხვალ რა იქნება, არ ვიცი. ერთი წლის წინ, ვერც წარმოვიდგენდი, რომ მიხეილ სააკაშვილი, როგორც უკანასკნელი ვიგინდარა, ისე ჩამოიპარებოდა საქართველოში და ხინკლის წვენით მოწუწული, ციხეში აღმოჩნდებოდა. დარწმუნებული ვარ, მოვა დღე, როდესაც გურამ შარაძის მკვლელობის შესახებ სიმართლე ოფიციალურად გამოცხადდება.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

# რა რისკებს ქმნის ათასობით რუსული პასპორტი საქართველოში




# ქსენოფობიური კვლევა თუ... 8 აგვისტოს მონატრება?!

**ვლადიმირ პუტინის მიერ უკრაინაში ომის გაჩაღების შემდეგ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მასობრივი შემოდინების პარალელურად პერიოდულად აქტიურდება რუსეთთან სავიზო რეჟიმის აღდგენის საკითხი. მოთხოვნა ორიოდ დღის წინ კვლავ დააყენა პარტია „ლელომ“, ფიქრობენ რა, რომ ოკუპანტი ქვეყნიდან შემოსულ ვიზიტორთა ნაკადი ყოველგვარ კონტროლს მიღმაა, ქვეყანა კი დაუცველია გამოწვევების წინაშე. ამავე მიზეზით პარტია „საქართველოსთვის“ აუცილებლად მიიჩნევს, სასწრაფოდ გადაიხედოს მოქალაქეთა მიმოსვლის რეჟიმი რუსეთთან და ერთწლიანი უვიზო რეჟიმი 1-3 თვემდე შემცირდეს. „რესპუბლიკელები“ კი ბინადრობის საკითხის დარეგულირებას მიიჩნევენ გამოსავლად.**

ამჟერად მსჯელობის გახსნას წინ უძღოდა „საერთაშორისო გამჭვირვალეობა – საქართველოს“ კვლევა, რომელიც საყურადღებო მიგნებებს მოიცავს:

- **2022 წლის მარტი-ივნისში საქართველოში 6 419 რუსული კომპანია დარეგისტრირდა. 2022 წლის განმავლობაში.**
- **„2022 წლის იანვარ-ივნისში საქართველომ რუსეთიდან ფულადი გზავნილებით, ტურიზმით და საქონლის ექსპორტით დაახლოებით 1.2 მლრდ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც 2021 წლის იანვარ-ივნისში რუსეთიდან ამავე წყაროებით მიღებულ შემოსავალზე 2,5-ჯერ მეტია. პანდემიამდე, 2019 წლის იანვარ-ივნისში რუსეთიდან შემოსავალს კი 36-პროცენტით აჭარბებს. ეს ნიშნავს, რომ გასაულ წლებთან შ;ედარებით საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება იზრდება“.**
- **მმართველ გუნდში კვლევას ქსენოფობიური უწოდეს, ხოლო რუსეთთან სავიზო რეჟიმის დაწესების მოთხოვნაზე მაგალითად, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა ბრძანა, „ომში ჩართვასთანაა კავშირშიო“, თუმცა კავშირი მკაფიოდ არ (ვერ) განუმარტავს.**

## „2008 წლის 8 აგვისტოს მოგვანატრებთო“

**მსგავს ვითარებაში საქართველოს რიგი მოქალაქეები საკუთარი შესაძლებლობების და პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოხატავენ პროტესტს. ერთ-ერთი მსგავსი შემთხვევისას საქართველოს მოქალაქე რუსი ტურისტებისგან თავდასხმის მსხვერპლი გახდა.**

კერძოდ, ბათუმში, სათარჯიმნო ბიუროში მისულმა რუსეთის მოქალაქეებმა შენობაში გაკრული უკრაინის დროშა ჩამოხიეს და თანამშრომელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. პოლიტიკური პოზიციის გამო თავდასხმის სამიზნე გახდა თბილისში მოქმედი ერთ-ერთი პოპულარული ობიექტი – „დედაენის ბარი“. საქმე იმაშია, რომ ბოლო თვეებია, ბარში მოსახვედრად ვიზიტორს სიმბოლური კითხვარის შევსების მოთხოვნას უყენებენ, რომელიც რუსეთის აგრესორად და ოკუპანტად მოხსენიებას ითვალისწინებს. ვინც ბარის პოლიტიკას არ იზიარებს, ისინი ობიექტში არ დაიშვებიან.

როგორც ბარის მფლობელი **დათა ლაფაური** ყვება, რუსეთის უკმაყოფილო მოქალაქეებმა ჯერ სოციალურ ქსელებში ნეგატიური შეფასებებით სცადეს ბარის მენეჯმენტის დასჯა, შემდეგ კი ინტენსიური კიბერშეტევა წამოიწყეს:



**„ტყუილებით ცდილობდნენ ჩვენი რეიტინგის დაწევას. მაგალითად, წერდნენ, რომ ხორცი არ ვარგოდა, არადა ჩვენთან ხორცი საერთოდ არ არის. როგორც ჩანს, მტრული რუსული ჯგუფების ყურადღების ქვეშ მოვექეცით და დღეს დილიდან მიმდინარეობს ორგანიზებული თავდასხმა ყველა ჩვენს ყველა სოცგვერდზე. ჟღერს მუქარა, რომ მოგვანატრებენ 2008 წლის 8 აგვისტოს. მსგავსი შეტევისთვის მზად არ ვიყავით. ამჟამად სტრატეგიის შემუშავებას ვცდილობთ“.**

რუსეთის მოქალაქეების ქვეყანაში მასობრივი შემოდინების კონტექსტში სწორედ მსგავსი სახის რისკებზე ამახვილებს ყურადღებას თადარიგის პოლკოვნიკი, ექსპერტი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში **აკია ბარბაქაძე**:



**„შემოსულია კიბერშეტევითი ჯგუფი, არიან „ვაგნერის“ სპეცჯგუფებიც, მათი როლი კი ნანახი გვაქვს ბელარუსში, სირიაში. აქ გვიმყარებენ რუსულ წესრიგს –კერძო მფლობელის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, პატარა დისკომფორტისთვის ბარზე კიბერშეტევა განახორციელეს, წარმოიდგინეთ, რა მოხდება პუტინის მოწოდების შემდეგ. მათ შეუძლიათ, შეტევების ქვეშ ამყოფონ ჩვენი საფინანსო სისტემა, ქალაქში გადაადგილების კუთხით შექმნან პრობლემები – არიონ შუქნიშნები, ფრენებს შეუშალონ ხელი – ჯამში, საქართველოში შექმნან კოლაფსი! 2008 წელს სამხედრო ოპერაციების გარდა ისინი კიბერშეტევებით ებრძოდნენ ჩვენს სახელმწიფოს! როდესაც სახეზე გვაქვს კონკრეტული ჯგუფის მოქმედება, ეს არის დასაწყისი დიდი არეულობის, რომელსაც აქ რუსეთი ჰიბრიდული ომიდან გამომდინარე მოგვიწყობს. ეს არის სამოქალაქო სამოსში გადაცმული ქვედანაყოფი! ხელისუფლება კი ჩვენი ყურადღების მოდუნებას ცდილობს!“.**

## „რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ იმავეს რუსეთი სხვა მეზობელ ქვეყანაში არ გააკეთებს?“

წარსულში საქართველოს ელჩი უკრაინაში, რუსეთში **ვალერი ჩეჩელაშვილიც** ფიქრობს, რომ არსებულ მოცემულობაში სავიზო რეჟიმის აღდგენა კარგი გადაწყვეტილება იქნებოდა და პირველ ეტაპზე ეს შესაძლოა, დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელებს შეეხოთ:



**„მნიშვნელოვანია, გავერკვეთ, რასთან გვაქვს საქმე. ამ კუთხითაც ვიზების შემოღება მოგვცემს ინფორმაციის მიღების დამატებით შესაძლებლობებს – წინსწრებად შეგვიძლია, საქართველოში შემოსვლის მსურველ რუსეთის მოქალაქეს ელექტრონული ანკეტის შევსება მოვთხოვოთ, სადაც მან უნდა მიუთითოს საკუთარი მიზნები, საქმიანობა და ვიზიტის ხანგრძლივობა. თუ ტურისტული მიზნით სურს ჩამოსვლა 40 წლის ქალბატონს, რომელიც საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობს, ეს ერთია, მაგრამ თუ გაურკვეველი პერიოდით სურს ჩამოსვლა 30 წლის კუნთმაგარ კაცს, რომელიც გასამხედროებულ ორგანიზაციებში საქმიანობითაა დაკავებული, ეს უკვე სხვა საკითხია. ამდენად, ეს საშუალებას მოგვცემს, უფრო ნათელი სურათი დავინახოთ, ჩატარდეს მეტად ღრმა ანალიზი, ჩამოყალიბდეს პოლიტიკა, რათა რისკებს გავუმკლავდეთ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ რაღაც მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომლის საფუძვლები, მიმდინარეობა, არ გვესმის, ინფორმაციას არ ვფლობთ, ვერ ვაანალიზებთ. ყოველ შემთხვევაში, არანაირი ოფიციალური შეფასებები არ მოგვისმენია ჩვენი უსაფრთხოების სამსახურებისგან. შესაძლოა, შესაბამისი მუშაობა ხორციელდება და ამის დიდი იმედი მაქვს, მაგრამ ვინაიდან შედეგს და ინსტრუმენტებს ვერ ვხედავ, ამიტომაცაა მსგავსი მოთხოვნები განპირობებული. ვიცით, რომ 24 თებერვლის მოლოდინში რუსეთმა უკრაინაში ჩანერგა დივერსიული ჯგუფები, შეტევის შემდეგ კი უკრაინის ხელისუფლებას მათთან გასამკლავებლად სერიოზული ძალისხმევა დასჭირდა. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ იმავეს რუსეთი სხვა მეზობელ ქვეყანაში არ გააკეთებს? აქ მხოლოდ საქართველოზე არაა საუბარი. ვფიქრობ, ამ კუთხით ყველაზე სერიოზული საფრთხეების წინაშე სადღეისოდ ყაზახეთი დგას და არა საქართველო, მაგრამ ჩვენ საკუთარ ქვეყანაზე უნდა ვისურვოთ.**

**მეორე – საქართველოში ათასობით რუსული კომპანია იხსნება, შესაბამისად იზრდება რისკი, რომ ჩვენი ეკონომიკური სივრცე შეიძლება, გამოყენებულ იქნას სანქციების გვერდის ავლის მიზნით. მესამე – ზოგადად, მსოფლიო ორ ბანაკად გაიყო. მანევრის საშუალება, რომელზეც აპელირებდა წარსულში ბევრი მთავრობა, მათ შორის ჩვენი, გაქრა. შესაბამისად, ჩვენ ან ანტიპუტინური კოალიციის განუყოფელი ნაწილი უნდა გავხდეთ, ან ჩვენი ასოცირება რუსეთის პოლიტიკასთან მოხდება. ეს კი მიმდინარე გეოპოლიტიკურ კონტექსტში ნამდვილად არ შედის ჩვენს ინტერესში. აღარ ვსაუბრობ მორალურ მხარეზე, რომელსაც ცხადია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“.**

ვალერი ჩეჩელაშვილი თვლის, რომ რეაგირება, მათ შორის ლიბერალური სავიზო რეჟიმის შემოღება აუცილებელია, რაც შეეხება უძრავი ქონების და მიწის შეძენის თაობაზე შეზღუდვების დაწესების მოწოდებებს, სარისკო ნაბიჯად მიიჩნევს, რომელმაც შესაძლოა, ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა დააზიანოს.




პოლიტიკური ძიძგილაობა კომუნისტურ მონსტრსა და დემოკრატიულ კუნძულს შორის

# ჩინეთი და ტაივანი - 70-წლიანი მტრობის ისტორია

## რა კავშირი აქვს ამ ყველაფერთან აშშ-ს?

**აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერის ნენსი პელოსის ტაივანში ვიზიტმა ჩინეთს, ტაივანსა და ტაივანის ამერიკელ მოკავშირეებს შორის დაძაბულობის ახალი ნაკადი გამოიწვია. ეს ურთიერთობა მუდმივად აქტიური კონფლიქტია და ის 70 წელზე მეტი ხნის წინ დაიწყო.**

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ტაივანს მიიჩნევს სეპარატისტულ პროვინციად, რომელიც ადრე თუ გვიან ჩინეთს უნდა დაუბრუნდეს. თუმცა 70-წლიანი განშორების შემდეგ, ბევრი ტაივანელი თავს ცალკე ნაციის წარმომადგენლად მიიჩნევს, ხოლო მათ კუნძულს ცალკე სახელმწიფოდ თვლის. მიუხედავად იმისა, რომ ტაივანს დამოუკიდებლობა ჯერ არ გამოუცხადებია, ის თავს მთელი ამ უზარმაზარი ჩინეთის ლეგიტიმურ მემკვიდრედ მიიჩნევს. ჩინურ-ტაივანური კონფლიქტის დეტალები BBC-მ გაარკვია.**

### კონფლიქტის ისტორიული ფონი

**პირველი ცნობილი დასახლებები ტაივანში შექმნეს ავსტრონეზიულმა ტომებმა, რომლებიც, როგორც დღეს მიიჩნევენ, დღევანდელი სამხრეთ ჩინეთიდან ჩამოვიდნენ. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, კუნძული ჩინურ ჩანაწერებში ჩვენი წელთაღრიცხვით 239 წელს არის დადასტურებული. სწორედ ამ პერიოდში ჩინეთის იმპერატორმა აღნიშნული რაიონის შესასწავლად ექსპედიცია გაგზავნა. შესაბამისად, ამ ფაქტით ამართლებს პეკინი, რომ კუნძულის ფლობის უფლება აქვს.**

შედარებით მოკლე პერიოდის განმავლობაში, 1624-დან 1661 წლამდე, ტაივანი ჰოლანდიის კოლონია იყო. ამის შემდეგ, 1683-დან 1895 წლამდე კი კუნძული ცინის დინასტიის (ჩინეთი) მმართველობის ქვეშ გახლდათ. ამავდროულად, მე-17 საუკუნეში ჩინეთიდან მიგრანტების მნიშვნელოვანი ნაკადი ტაივანში ჩავიდა, რადგან ადამიანები სიღარიბესა და არეულობას გაურბოდნენ. მათი უმრავლესობა იყო ჰოკლოს წარმომავლობის ფუჯიანიდან ან ჰაკა – ძირითადად, გუანდუნის პროვინციიდან. სწორედ მათი შთამომავლები ქმნიან ამჟამად ყველაზე დიდ დემოგრაფიულ ჯგუფს კუნძულზე.

1895 წელს, ჩინეთ-იაპონიის პირველი ომის შემდეგ, ცინის დინასტიის მთავრობა იძულებული გახდა, ტაივანი იაპონიისთვის დაეთმო. მეორე მსოფლიო ომის შედეგების მიხედვით კი, იაპონია იძულებული გახდა, ამ ტერიტორიაზე უარი ნებაყოფლობით ეთქვა. შესაბამისად, ერთ-ერთმა გამარჯვებულმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მისი მოკავშირეების, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის თანხმობით, ტაივანის მართვა დაიწყო.

თუმცა ამის შემდეგ ჩინეთში სამოქალაქო ომი დაიწყო. კონფლიქტის დამარცხებულმა და გაქცეულმა მონაწილეებმა ტაივანს შეაფარეს თავი. ისინი მრავალი წლის განმავლობაში დომინირებდნენ კუნძულის პოლიტიკაში, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის მხოლოდ 14%-ს შეადგენდნენ.

### ვინ აღიარებს ტაივანს?

**არსებობს უთანხმოება და დაბნეულობა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ტაივანი. კუნძულს აქვს საკუთარი კონსტიტუცია, ჰყავს დემოკრატიულად არჩეული ლიდერები და დაახლოებით, 300 000-იანი არმია. ჩინეთის სამოქალაქო ომში, მაო ძედუნთან დამარცხებული ჩან კაიში, რომელმაც ოდესღაც ტაივანში ჩამოაყალიბა მთავრობა, ამტკიცებდა, რომ ის მთელ ჩინეთს წარმოადგენდა და მის უკან დაბრუნებას აპირებდა. ტაივანმა ჩინეთის ადგილიც კი დაიკავა გაეროს უშიშროების საბჭოში, რადგან ბევრი დასავლური ქვეყანა ჩინეთის ნამდვილ მთავრობად სწორედ მას მიიჩნევდა.**

თუმცა 1970-იან წლებში, უშიშროების საბჭოს ზოგიერთმა წევრმა დაიწყო იმაზე ლაპარაკი, რომ ტაივანი ვეღარ წარმოადგენდა ასობით მილიონ ადამიანს, რომლებიც ჩინეთში ცხოვრობდნენ. 1971 წელს, გაერომ პეკინს თავისი ადგილი დაუბრუნა, ტაივანი კი გარიცხა. 1978 წელს ჩინეთმა თავისი ეკონომიკის გახსნა დაიწყო. შეერთებულმა შტატებმა, გააცნობიერა რა სავაჭრო პოტენციალი და ურთიერთობების განვითარების აუცილებლობა, პეკინთან დიპლომატიური ურთიერთობები 1979 წელს ოფიციალურად დაამყარა. მას შემდეგ მკვეთრად შემცირდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც ტაივანს ოფიციალურად აღიარებდნენ – ახლა მათი რაოდენობა დაახლოებით 15-ია. მოცემულ ეტაპზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა მახასიათებლის მქონე ტაივანის სამართლებრივი სტატუსი გაურკვეველია.

### როგორი ურთიერთობაა ტაივანსა და ჩინეთს შორის დღეს?

**1980 წელს ჩინეთსა და ტაივანს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება დაიწყო. ტაივანმა ჯერ ჩინეთში ვიზიტისა და ინვესტიციის წესები შეარბილა, ხოლო 1991 წელს განაცხადა, რომ ომი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დასრულდა. თავის მხრივ, ჩინეთმა წარმოადგინა ეგრეთ წოდებული „ერთი ქვეყანა, ორი სისტემის“ ვარიანტი, რომლის მიხედვითაც პეკინი ირწმუნებოდა, რომ ტაივანი ავტონომიას შეინარჩუნებდა, თუ იგი გაერთიანებას დათანხმდებოდა. ანალოგიური დაპირებით დაიბრუნა პეკინმა ჰონგ კონგი 1997 წელს და ბოლო დრომდე თავის სიტყვას ასრულებდა. თუმცა შემდეგ დემოკრატიულ ჰონგ კონგს თავისი წესები მოახვია თავს.**

ტაივანმა შეთავაზება უარყო. პრეზიდენტი ჩენ შუი-ბიანი, რომელიც ხელისუფლებაში 2000 წელს მოვიდა, ჩინეთისთვის თავის ტკივილი აღმოჩნდა, რადგან ის და მისი დემოკრატიული, პროგრესული პარტია ცალკე სახელმწიფოს იდეას ღიად მხარს უჭერდნენ. 2004 წელს ჩენი ხელახლა აირჩიეს, ერთი წლის შემდეგ კი ჩინეთმა მიიღო სპეციალური კანონი, რომელიც მას საშუალებას აძლევს გამოიყენოს „არასამშვიდობო საშუალებები“ ტაივანის წინააღმდეგ, თუ ის გამოყოფას შეეცდება. 2008 წელს ჩენი ჩაანაცვლა მა ინცზიუმ, რომელიც ეკონომიკური შეთანხმებებით ურთიერთობების გამოსწორებას ცდილობდა.

2016 წელს პრეზიდენტი დემოკრატიულ- პროგრესული პარტიის წევრი ცაი ინ-ვენი გახდა და ტაივანის ურთიერთობა ჩინეთთან კვლავ დაიძაბა. ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა 2018 წელს, როდესაც პეკინმა საერთაშორისო კომპანიებზე ზეწოლა გააძლიერა და დაემუქრა მათ, რომ ჩინეთში ბიზნესის კეთებას აუკრძალავდა, თუ თავიანთ ვებგვერდებზე ტაივანს ჩინეთის ნაწილად არ მოიხსენიებდნენ. 2020 წელს ცაი ხელახლა აირჩიეს რეკორდული – 8,2 მილიონი ხმით, რასაც ბევრი მიიჩნევს იმის მტკიცებულებად, რომ ტაივანელებს ჩინეთთან შეერთების იდეა დიდად არ ხიბლავთ. იმავდროულად, ჰონგ კონგში ჩინეთის გავლენის ზრდის წინააღმდეგ პროტესტი უკვე გაჩაღდა და ტაივანი ამ ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა.

### რამდენად მნიშვნელოვანია ტაივანისთვის დამოუკიდებლობა?

**თუ პეკინი და ტაიბეი ფუნდამენტურ პოლიტიკურ საკითხებზე ვერ თანხმდებიან, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობები გაფართოვდა და გაძლიერდა. ტაივანის ოფიციალური მონაცემებით, 1991-დან 2021 წლის მაისის ბოლომდე, ტაივანის ინვესტიციებმა ჩინეთში 193,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. ტაივანის მოქალაქეთა ნაწილს ძალიან აწუხებს ის ფაქტი, რომ მათი ეკონომიკა ახლა ჩინეთზეა დამოკიდებული. სხვები თვლიან, რომ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ჩინეთის მხრიდან თავდასხმის ალბათობას ამცირებს.**

2014 წელს ჩინეთმა და ტაივანმა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ამან გამოიწვია საპროტესტო აქცია სახელწოდებით- „მზესუმზირების მოძრაობა“. მისმა წევრებმა, სტუდენტებმა და აქტივისტებმა დროებით დაიკავეს ტაივანის პარლამენტი, ისინი ჩინეთის გავლენის პოტენციურ ზრდას აპროტესტებდნენ. ტაივანის ამჟამინდელი მმართველი დემოკრატიულ-პროგრესული პარტია კვლავ კუნძულის დამოუკიდებლობის მომხრეა, მისი ოპოზიცია კი ჩინეთთან გაერთიანებაზე საუბრობს.

ტაივანში ბოლოდროინდელი გამოკითხვები აჩვენებს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივი სუვერენიტეტის მომხრეა. თუმცა ტაივანელთა უმეტესობა, როგორც ჩანს, მაინც სადღაც შუაშია. 2022 წლის ივნისში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 5,2 პროცენტს სურს დამოუკიდებლობის უსწრაფესი გამოცხადება, ხოლო 1 პროცენტს პირიქით, ჩინეთთან გაერთიანება პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში.

### რა კავშირი აქვს ამ ყველაფერთან აშშ-ს?

**ვაშინგტონის გრძელვადიანი პოლიტიკა რეგიონში სტრატეგიული ამბივალენტობის მაგალითია. ოფიციალურად, შეერთებული შტატები „ერთიანი ჩინეთის“ პოლიტიკას იცავს, აღიარებს მხოლოდ პეკინს და აქვს დიპლომატიური ურთიერთობა მასთან და არა ტაიბეისთან, მაგრამ ამავდროულად, ინარჩუნებს მოკავშირე ურთიერთობებს ტაივანთან. მიმდინარე წლის მაისში პრეზიდენტ ბაიდენს ჰკითხეს, მზად იყო თუ არა შეერთებული შტატები ტაივანის დასაცავად და მან დადებითად უპასუხა. თეთრმა სახლმა მაშინვე განმარტა, რომ აშშ-ს პოზიცია ტაივანთან დაკავშირებით არ შეცვლილა და „ერთიანი ჩინეთის“ პოლიტიკის მიმართ თავისი ლოიალურობა კიდევ ერთხელ დაადასტურა. დაახლოებით იგივე მოხდა ბაიდენის წინა განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც ტაივანის სამხედრო მხარდაჭერას ეხებოდა.**

პეკინი ნეგატიურად აფასებს ვაშინგტონის მხრიდან ტაიბეის ნებისმიერ მხარდაჭერას. შესაბამისად, ჩინეთმა ბაიდენის განცხადებების საპასუხოდ, ტაივანის საჰაერო თავდაცვის ზონაში სამხედრო თვითმფრინავების შემადგენლობა გააძლიერა.

### რატომ ჩავიდა პელოსი ტაივანში?

**ნენსი პელოსი ათწლეულების განმავლობაში ასრულებდა მისიას, რომლის მიზანიც დემოკრატიისთვის მებრძოლი მოძრაობების მხარდაჭერა იყო. აღსანიშნავია 1991 წელს მომხდარი ფაქტი, როდესაც ტიანანმენის მოედანზე მან და სხვა კანონმდებლებმა დემოკრატიის მხარდამჭერი პატარა ბანერი გაშალეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები მათთვის ხელის შეშლას ცდილობდნენ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩინეთის სამთავრობო ძალები ორი წლით ადრე, იმავე ადგილზე, ადგილობრივი დემოკრატიული მოძრაობის წევრებს თავს დაესხნენ.**

წარმომადგენელთა პალატის სპიკერი თავის ვიზიტს ტაივანში მიიჩნევს იმ უფრო ფართო მისიის ნაწილად, რომლის ფარგლებშიც **„მსოფლიო ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის არსებული არჩევანის წინაშე დგას“**. გაზაფხულზე ის უკრაინის დედაქალაქ კიევში ჩასულ კონგრესის დელეგაციას ხელმძღვანელობდა და როგორც ამბობენ, მისი ბოლო ძალისხმევა წლების განმავლობაში დემოკრატიის ხელშეწყობისთვის გაწეული მუშაობის კულმინაციური ეტაპი იქნება. **„ჩვენ უნდა დავდგეთ ტაივანის გვერდით“,** – განუცხადა პელოსიმ The Washington Post-ს ტაივანში ვიზიტზე საუბრისას. მან ამის საფუძვლად მოიყვანა ის ვალდებულება, რომელიც აშშ-მ იკისრა დემოკრატიული ტაივანის მიმართ 1979 წლის კანონის მიხედვით. **„მნიშვნელოვანია, ამერიკამ და ჩვენმა მოკავშირეებმა მკაფიოდ დააფიქსირონ, რომ ჩვენ არასოდეს დავუთმობთ ავტოკრატებს“,** – წერს პელოსი.

## ჩინეთი აშშ-ის მიზნებს ხელს უშლის!

აშშ ჩინეთს პროვოკაციულ და უპასუხისმგებლო ქმედებებში ადანაშაულებს, მას შემდეგ რაც ტაივანმა განაცხადა, რომ პეკინი კუნძულზე თავდასხმის რეპეტიციას გადის.

**„ეს ქმედებები მნიშვნელოვანი ესკალაციაა ჩინეთის ძალისხმევის სტატუს-კვოს შესაცვლელად. ისინი არის პროვოკაციული, უპასუხისმგებლო და ზრდის არასწორი გათვლის რისკს. ისინი ასევე ეწინააღმდეგება მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების ჩვენს ხანგრძლივ მიზნებს ტაივანის სრუტის გასწვრივ“,** – განაცხადა თეთრი სახლის პრესსპიკერმა, კარინ ჟანპიერმა.

ტაივანმა ჩინური წვრთნების საპასუხოდ, რომელიც უკვე მეოთხე დღეა მიმდინარეობს, სამხედრო თვითმფრინავები და გემები განალაგა. ტაივანში აცხადებენ, რომ ჩინეთმა წვრთნების განმავლობაში არაერთხელ გადაკვეთა მედიანური ხაზი, რომელიც ტაივანის სრუტეში მატერიკულ ნაწილსა და კუნძულს ერთმანეთისგან ყოფს. მედიასთან საუბრისას ტაივანის პრემიერ-მინისტრმა, სუ ცენჩანმა განაცხადა, რომ სწავლებას ჩინეთი რეგიონალური სტაბილურობის მოშლისთვის იყენებს.

# მხოლოდ ქართველ „ნაცებს“ შეუძლიათ ასეთი გამორჩეული სიყვარული

(მესამე გვერდიდან)



**პირველი,** – 2008 წლის აგვისტოში, გაგანია ომის დროს ჩვენს დასახმარებლად საფრანგეთიდან ჩამოსული, მის გვერდით მდგომი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ბერნარ კუშნერი,** ისე მიატოვა და მოკურცხლა რუსეთის თვითმფრინავის უბრალო გუგუნით დამფრთხალმა ჩვენმა ორმეტრიანმა „ვაჟკაცმა“, რომ უკან არც მოუხედავს; სტუმარი, რომელსაც იგი წესით უნდა გადაეფარებოდა კიდეც დაბომბვის შემთხვევაში, არც გახსენებია! ისტორიას შემორჩა თავისმომჭრელი ორი ფოტოსურათი – დახვავებული ჯავშანჟილეტებიდან და გადაფოფრებული დამცველების შუაგულიდან თავამოყოფილი საქართველოს პრეზიდენტის დამფრთხალი ფიზიონომია და მისი „გულადობით“ გაოცებული, მარტოდ დარჩენილი სტუმრის სახე. მთელი ერის შემარცხვენელი მსგავსი მაგალითი საქართველოს ისტორიამ არ იცის!

**მეორე,** – როცა **ნარკოტიკით გაბრუებული,** მახათას მთაზე საქართველოს უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქისთვის განკუთვნილ სავარძელში ჩაესვენა ამღვრეული თვალებით!

**მესამე,** – როცა უცხო სახელმწიფოს, უკრაინის ერთ-ერთი ოლქის (ოდესის) გუბერნატორის სავარძლის დასაკავებლად საკუთარი ქვეყნის – **საქართველოს მოქალაქეობაზე თქვა უარი!**

**მეოთხე,** – როცა, უკრაინის დედაქალაქ კიევში, მოსალოდნელი დაპატიმრების შიშით დამფრთხალი **შენობის სახურავზე დარბოდა** გიჟივით (იმჟამინდელმა უკრაინის მთავრობამ შეცდომა დაუშვა – ხელი არ უნდა ეხლო მისთვის, სახურავზე უნდა დაეტოვებინა!) !

**მეხუთე,** – როცა რძის პროდუქტებით დატვირთულ ტრაილერში თუ კონტეინერში დამალული **შემოიპარა საქართველოში!**

**მეექვსე,** – როცა ლამის ორი თვე **„იშიმშილა“** და მაინც არაფერი დაეტყო გარეგნულად (ხბოს პაშტეტებიან დიეტაზე მჯდომს!) და, როცა აშკარა **სიმულანტია** (რაშიც პირადი ვაი-ექიმების ხელიც ურევია, რომლებმაც აუცილებლად უნდა აგონ პასუხი!)!..

კიდევ შეიძლება პრეზიდენტის მიერ ჩადენილი სხვა „საგმირო“ საქმეების ჩამოთვლა, მაგრამ ამ კაცის სრულყოფილი პორტრეტის შესაქმნელად ესეც საკმარისია. რაც მთავარია, ვერავინ ვერ იტყვის, რომ ეს არ მომხდარა, რომ ასე არ იყო, რომ ფაქტები დამახინჯებულია ან გაზვიადებული, რომ ადგილი ჰქონდა მონტაჟს და ა.შ.

**ჰოდა, ჩემო ტვინნაღრძობო ნაცებო და ნაცების ტვინგადაბრუნებულო მხარდამჭერებო, როგორ გგონიათ, განა შეიძლება ასეთი შემარცხვენელი ქმედებების ჩამდენი, ასეთი ფსიქიკის მქონე, ასეთი „პატიოსანი“, „მამაცი“ და „პატრიოტი“ ადამიანის ლიდერობა სურდეს ან, უბრალოდ, პატივისცემა ჰქონდეს ნორმალურ ადამიანს სადმე?! არსად და არავის! ეს ქართული ფენომენია, ასეთი გამორჩეული სიყვარული მხოლოდ ქართველ „ნაცებს“ შეუძლიათ!**



**იაკობ ლეჟავა**

## უკრაინაში სულ მცირე 10 რუსი გენერალია მოკლული

**ომის დაწყების დღიდან უკრაინაში სულ მცირე 10 რუსი გენერალია მოკლული, 6 მეთაური კი თანამდებობებიდან გადააყენეს. ინფორმაციას ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვა ავრცელებს.**

მათი ინფორმაციით, რუსული შეიარაღებული ძალების არაეფექტურობა ძვირად დაუჯდა რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას, რამაც, სავარაუდოდ, სულ მცირე 6 მეთაურის თანამდებობიდან მოხსნა გამოიწვია.

**„კერძოდ, საუბარია აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამხედრო ოლქების მეთაურებზე - გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრ ჩაიკოზე და გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრ ჟურავლიოვზე. ჩაიკომ თანამდებობა 2022 წლის მაისში დატოვა, ჟურავლიოვი კი, რომელიც დასავლეთის სამხედრო ოლქს 2018 წლიდან ხელმძღვანელობდა, არ ესწრებოდა 31 ივლისს რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. სავარაუდოდ, ის გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ კოჩეტკოვმა შეცვალა. გენერალი ალექსანდრ დვორნიკოვი უკრაინაში მიმდინარე ოპერაციის მეთაური იყო, ხოლო გენერალ სუროვიკინმა სამხრეთის დაჯგუფება გენერალ გენადი ჟიდკოსგან გადაიბარა. ვითარებას ამწვავებს ისიც, რომ უკრაინაში დაიღუპა სულ მცირე 10 რუსი გენერალი“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.


# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატად

**საქართველო**
**აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი**
**სესხის/კრედიტის N: IBRD 8547-GE**
**პროექტის N: P149952**
**დავალების დასახელება: შესყიდვების კონსულტანტი**
**კონტრაქტის ნომერი: EWHCIP/CS/ICS-04**

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, მასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით განხორციელდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ **შესყიდვების კონსულტანტებს** ინტერესის გამოსახატად ზემოხსენებული საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმე (CV), რომლითაც დასტურდება დავალებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება აღნიშნული მომსახურების გასაწევად.

კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და მრავალმხრივი განვითარების ბანკის (WB, ADB, EIB, EBRD) მიერ დაფინანსებულ პროექტებში შესყიდვების განხორციელებაში;
- მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში შესყიდვების გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და მრავალმხრივი განვითარების ბანკის (MDB) შესყიდვების პროცედურების/რეგულაციების ტრენინგებზე დასწრება და მონაწილეობა (სასურველია მსოფლიო ბანკის) ჩაითვლება უპირატესობად;
- ინგლისური და ქართული ენების უმაღლეს დონეზე ცოდნა;
- ინგლისურ და ქართულ ენებზე ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის და ანგარიშების მომზადების უნარი;
- სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების პროფესიონალურ დონეზე ცოდნა, მათ შორის MS Office.

***შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი უფლებას იტოვებს გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.***

კონტრაქტით გათვალისწინებული დავალების შესრულების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს მოვალეობების დამაკმაყოფილებლად შესრულების შემთხვევაში.

შესყიდვა/შერჩევა უნდა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების შესაბამისი საინვესტიციო პროექტების დაფინანსების (IPF) მსესხებლის რეგულაციების ან მსოფლიო ბანკის შესყიდვების განახლებული სახელმძღვანელოს მიხედვით.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ. ფოსტით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა კონსულტანტის რეზიუმესთან (CV) და სხვა შესაბამის ინფორმაციასთან ერთად, ბეჭდური სახით ან ელექტრონულად, წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2022 წლის 19 აგვისტოს 15:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: სალომე წურწუმია
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**
**East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)**
**Loan No. IBRD 8547-GE**
**Project No. P149952**
**Assignment Title: Procurement Consultant**
**Reference No: EWHCIP/CS/ICS-04**

The Government of Georgia has received financing from the World Bank toward the cost of **the East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)**, and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible Individual Consultants ("Consultants") to express their interest in providing the following services: **Procurement Consultant**.

Interested individuals shall provide CV demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services.

Required Qualification of the Consultant:

- Minimum 5 years of procurement experience in the IFI/MDB (WB, ADB, EIB, EBRD) financed projects;
- Procurement experience in the World Bank-financed projects will be an advantage;
- Participation in procurement training in IFI/MDB procurement procedures/regulations will be an advantage (WB preferably);
- Fluency in English and Georgian Languages;
- Strong verbal and written communication and reporting skills in English and Georgian;
- Proficiency in standard computer applications, including MS Office.

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

**Estimated duration of assignment is 12 months** with a possibility of downstream extension, subject to satisfactory performance.

The Consultant will be selected under the "Individual Consulting Service" method for a Time-Based contract, as described in the World Bank's Procurement Regulations for Investment Project Financing (IPF) Borrowers or other World Bank procurement regulations as updated.

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than August 19, 2022, 15:00 hours.

Name: Ms. Salome Tsurtsumia
Position: Deputy Chairperson of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

ჭადრაკი

# შანსს ვინარჩუნებთ



**ინდურ ჩენაიში მიმდინარე მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის ბოლო ორ ტურში წარმატებით ითამაშა საქართველოს ქალთა ნაკრებმა.**

მე-7 ტურში ჩვენმა დიდოსტატებმა რუმინეთის გუნდს სძლიეს 2.5:1.5 (ნანა ძაგნიძე — ირინა ბულმაგა 0.5:0.5, ნინო ბაციაშვილი — მიხაელა სანდუ 0.5:0.5, ლელა ჯავახიშვილი — ალესია-მიხაელა სიოლაკუ 1:0, მერი არაბიძე — მირუნა-დარია ლეჰასი 0.5:0.5), მე–8 ტურში კი სომეხი მოჭადრაკეები დაამარცხეს — 3.5:0.5 (ნანა ძაგნიძე — ელინა დანიელიანი 1:0, ნინო ბაციაშვილი — ლილიტ მკრტიჩიანი 1:0, ლელა ჯავახიშვილი — ანა სარგსიანი 1:0, სალომე მელია — მარიამ მკრტიჩიანი 0.5:0.5);

მე-8 ტურის დანარჩენი შეხვედრები: ინდოეთი (1) — უკრაინა 2:2, ინდოეთი (3) — პოლონეთი 1:3, რუმინეთი — აზერბაიჯანი 2:2, ყაზახეთი — სლოვაკეთი 3.5:0.5, ბულგარეთი — საბერძნეთი 3:1, მონგოლეთი — უნგრეთი 2.5:1.5. რვა ტურის შემდეგ 15 ქულით ინდოეთის პირველი ნაკრები ლიდერობს. აზიელებს ქულით ჩამორჩებიან მეორე ადგილზე მყოფი ქართველი მოჭადრაკეები. უკრაინამ, პოლონეთმა, ბულგარეთმა, ყაზახეთმა და მონგოლეთმა 13-13 ქულას მოუყარეს თავი.

ვაჟთა შეჯიბრების მე–7 ტურში საქართველოს ნაკრები მოლდოვასთან დამარცხდა 1.5:2.5 (ივან შიტკო — ბაადურ ჯობავა 0.5:0.5, ანდრე მაკოველი — მიხეილ მჭედლიშვილი 0.5:0.5, იულიან ბალტაგი — ლევან ფანცულაია 0.5:0.5, დრაგოშ სერესი — თამაზ გელაშვილი 1:0); მერვე ტურში კი ვენესუელის გუნდს მშრალი ანგარიშით აჯობა — 4:0 (მიხეილ მჭედლიშვილი — ხუან არმანდო როლ მონტესი 1:0, ლუკა პაიჭაძე — ფრანკლინ პალომო 1:0, ლევან ფანცულაია — ხოსე ლუის კასტრო ტორესი 1:0, თამაზ გელაშვილი — ედუარდო ესკალონა ტორესი 1:0).

ლიდერთა ჯგუფის მე-8 ტურის ორთაბრძოლები ასე დასრულდა: სომხეთი — ინდოეთი 2.5:1.5, აშშ — ინდოეთი (2) 1:3, გერმანია — უზბეკეთი 1.5:2.5, ყაზახეთი — აზერბაიჯანი 1.5:2.5, ნიდერლანდები — უნგრეთი 3:1, ირანი — საფრანგეთი 2.5:1.5, უკრაინა — ბრაზილია 2:2.

რვა ტურის შემდეგ: სომხეთი — 15, ინდოეთი (2), უზბეკეთი — 14-14, ნიდერლანდები, ირანი, აზერბაიჯანი — 13-13. ათ გუნდს 12-12 ქულა აქვს. საქართველოს ნაკრები 10 ქულით 35-ე ადგილზეა.

მე-9 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ინდოეთი (2) — აზერბაიჯანი, უზბეკეთი — უნგრეთი, ნიდერლანდები — ირანი, საბერძნეთი — აშშ, ინდოეთი (1) — ბრაზილია, ლიეტუვა — გერმანია, თურქეთი — პერუ, ყაზახეთი — სერბეთი... საქართველო — ფილიპინები.

კალათბურთი

# თანაბარი ბალანსით

**კეჩკემეტში მყოფმა საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა უნგრეთთან მეორე ამხანაგური მატჩი გამართა და ერთი ქულით გაიმარჯვა. ეს გახლდათ სავარჯიშო ტიპის შეხვედრა, რომლის დაწყებისას არც სახელმწიფო ჰიმნები შესრულდა, არც სუვენირები გაიცვალა და წინასწარი შეთანხმებით, სტანდარტული, 4 პერიოდის შემდეგ, ისე რომ ფრე არ დაფიქსირებულა, გუნდებმა დამატებითი დრო — 5 წუთი ითამაშეს. 4 პერიოდის შემდეგ წინ უნგრეთი იყო — 78:75, ხოლო ოვერტაიმის შემდეგ გამარჯვებული საქართველოს ნაკრები გამოვიდა — 81:80.**

რადგან მატჩი დახურული იყო, არც ტელევიზიით გადაიცემოდა და არც მაყურებელი ჰყავდა, მწვრთნელებს კი სხვადასხვა ტიპის ტაქტიკის დამუშავების საშუალება მიეცათ, რომლებიც მოედანზე მოთამაშეთა შეყვანაში შეზღუდულები არ იყვნენ.

ჩვენს ნაკრებში თხუთმეტივე კალათბურთელმა ითამაშა, რომლებსაც თავის გამოჩენის შანსი მიეცათ.

უნგრეთის ნაკრებში არ ითამაშა ადამ ჰანგამ, რომელიც დარბაზში არც მისულა. საქართველოს ნაკრები თავიდან იგებდა, შემდეგ კი ჩამორჩებოდა. მატჩის ბოლო წუთებზე საქართველო დაწინაურდა, თუმცა მასპინძლებმა მოახერხეს და 4 პერიოდი სათავისო ანგარიშით დაასრულეს — 78:75.

დამატებით დროში უკვე ქართველებმა იძალეს, კარგი დაცვისა და გონივრული შეტევების ხარჯზე მეტოქე ჩამოიტოვეს და ქულით გაიმარჯვეს.

2 მატჩის ჯამში საქართველომ და უნგრეთმა თანაბარი ანგარიში დააფიქსირეს — 169:169 (პირველი შეხვედრა — 88:89).

საქართველოს ნაკრები თბილისში უკვე დაბრუნდა და მზადებას განაგრძობს. შემდეგი სპარინგ-მატჩი ჩვენს გუნდს 12 აგვისტოს ისრაელის ნაკრებთან ელის.

მოლოდინი

# ოპტიმისტი „ტიფოზები“



**1 ივლისიდან საქართველოს საფეხბურთო ნაკრების შემტევი ხვიჩა კვარაცხელია სერია A-ს ერთ-ერთი გრანდის, „ნაპოლის“ ფეხბურთელი გახდა. ხვიჩას სატრანსფერო საგა ამ დღემდე ბევრად უფრო ადრე დაიწყო, იყო უამრავი სპეკულაცია „ტოტენჰემის“, „იუვენტუსის“, „მილანის“ და სხვა ევროპული ტოპ-კლუბების ინტერესის შესახებ, თუმცა საბოლოოდ ხვიჩა ნეაპოლიტანელთა ღირსებას დაიცავს.**

ახალი ქვეყანა, ჩემპიონატი, გუნდი და ხვიჩას მომავალი „ნაპოლიში“ — ეს ყველაფერი ქართველ გულშემატკივარში ბევრ მოლოდინს აჩენს, თუმცა საინტერესოა, როგორ უყურებენ ამ ტრანსფერს ადგილობრივი ფანები, იტალიური ტერმინოლოგიით, „ტიფოზები“.

კლუბის ადგილობრივი თაყვანისმცემელი **პიერ პაოლო პენცა** ამბობს, რომ აქამდე ხვიჩას, როგორც ფეხბურთელის შესახებ, ინფორმაცია არ ჰქონდა, თუმცა სპორტული დირექტორის **კრისტიანო ჯუნტოლის** და მთავარი მწვრთნელის **ლუჩიანო სპალეტის** გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი არ ეპარება.

**„ხვიჩა კვარაცხელიას, როგორც ფეხბურთელს, აქამდე არ ვიცნობდი და ვფიქრობ, რომ ნეაპოლში არც არავინ იცოდა მის შესახებ, მაგრამ „ნაპოლის“ ჰყავს ძალიან კარგი სპორტული დირექტორი. მჯერა, რომ ხვიჩა იცნობდა ჩვენს მწვრთნელს — ლუჩიანო სპალეტი ხომ 5 წელი სანკტ–პეტერბურგის „ზენიტში“ მუშაობდა. როგორც დაიწერა, სწორედ მან დაურეკა ხვიჩას, რათა შეთავაზების მიღებაში დაერწმუნებინა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მან გადაწყვიტა „ნაპოლიში“ ჩამოსვლა, რადგან მჯერა, რომ ის არის ფეხბურთელი, რომელსაც ბევრი ემოციის მინიჭება შეუძლია ნეაპოლელებისთვის და სანაცვლოდ, ჩვენგან დიდი სიყვარულისა და მადლიერების მიღებას შეძლებს,“** — მისი თქმით, ნეაპოლი მშვენიერი ქალაქია, ასევე სტუმართმოყვარედ ითვლება და ხვიჩას ადაპტაციის პრობლემა არ ექნება.

გასულ წელს, განსაკუთრებით კი მის პირველ ნახევარში, „ნაპოლი“ სერია A-ში ძალიან კარგად გამოიყურებოდა და დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა ჩემპიონობის შანსებს, საბოლოოდ კი ცხრილში მე-3 ადგილი დაიკავა. პიერი ოპტიმისტურად უყურებს ახალ სეზონს და იმედი აქვს, რომ მისაღწევ წარმატებებში ხვიჩას როლი დიდი იქნება.

**„ბოლო წლებში „ნაპოლი“ იტალიასა და ევროპაში მნიშვნელოვანი კლუბი გახდა. წელს ის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს და ხვიჩა კვარაცხელიას ექნება შესაძლებლობა, აჩვენოს თავისი სრული ღირებულება — მნიშვნელოვან ეტაპებზე დაპირისპირებებში. იმედი მაქვს, რომ „ნაპოლის“ შეუძლია დაიბრუნოს სერია A-ს ჩემპიონის ტიტული, რომელიც 30 წელია დაკარგული გვაქვს, ასევე, აჩვენოს კარგი თამაში ჩემპიონთა ლიგაზე, თუმცა ეს არამხოლოდ ხვიჩა კვარაცხელიაზე, არამედ მთელ გუნდზე იქნება დამოკიდებული,“** — ამბობს ის.

პიერის თქმით, ხვიჩა მალე შეეწყობა „ნაპოლის“, რადგან გუნდი ძალიან ერთიანია. მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იტალიურის სწავლა იქნება, თუმცა სპალეტიმ რუსული იცის და დასაწყისში კომუნიკაციისთვის ეს გამოადგებათ.

პიერი მადლობას უხდის ბათუმის „დინამოს“ და მის გულშემატკივრებს, რადგან „ნაპოლის“ „მათი შვილი მიანდეს“.

დავძენთ, რომ ბოლო ორი წინასასეზონო სპარინგი „ნაპოლიმ“ ესპანურ კლუბებთან — „ჟირონასთან“ და „;ესპნიოლთან“ ფრედ დაასრულა — 1:1 და :0, ხოლო ხვიჩამ პირველ მეტოქეს პენალტი გაუტანა.

ნიჩბოსნობა

# მცირედი დააკლდა

**კანადის ქალაქ ჰალიფაქსში გამართულ ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მცხეთელმა ზაზა ნადირაძემ ერთადგილიანი კანოეთი 200 მეტრი საკვალიფიკაციო ეტაპზე 41.25 წამში დაფარა და მესამე ადგილით ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა.**

გადამწყვეტი ორთაბრძოლისას მან კვალიფიკაციის მაჩვენებელი გააუმჯობესა (39.67), თუმცა მედლისთვის არ ეყო — ოთხმა მეტოქემ გაუსწრო. კვარცხლბეკზე ოლექსი კოლიადიჩი (პოლონეთი, 39.25), ნიკო პიკერტი (გერმანია, 39.35) და ვიქტორ სტეპანოვი (ყაზახეთი, 39.44) ავიდნენ.

23-წლამდელებში მსოფლიოს და ევროპის პირველობების დუშელმა პრიზიორმა **მარიამ ქერდიკაშვილმა** ნახევარფინალში 200 მეტრი ერთადგილიანი კანოეთი 51.90 წამში გაცურა, რითაც მე-4 ადგილი დაიკავა და ფინალში ვერ მოხვდა.



ოლიმპიზმი

# პარიზი 2024-მა სლოგანი წარმოადგინა

**პარიზის ოლიმპიური და პარალიმპური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა 2024 წლის თამაშების სლოგანი წარმოადგინა — Games wide open (ფართოდ გახსნილი თამაშები).**

„ამ ახალ სლოგანში მკაფიოდ ჩანს პარიზი-2024-ის სწრაფვა ოლიმპიური დღის წესრიგი 2020-ის შესაბამისად განაახლოს თამაშების მოდელი, რაც თავის მხრივ, რაც შეიძლება მეტი ადამიანის მონაწილეობისთვის კარის გაღებას გულისხმობს. გახსნის ცერემონიის სენას სანაპიროზე, ქალაქის მნიშვნელოვან ადგილებში კი სპორტული ასპარეზობების ჩატარება, ასევე პარიზის სხვადასხვა ღონისძიებები გააერთიანებს ადამიანებს როგორც მოედნებზე, ისე მათ მიღმა, პირადად და ონლაინ, — განმარტავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტი **თომას ბახი,** — ასეთ მიდგომას საკვანძო მნიშვნელობა ექნება მომავალი თაობის შთაგონებისთვის. საფრანგეთში და მთელ მსოფლიოში უფრო მეტ ადამიანს მიეცემა საშუალება შეიგრძნოს ოლიმპიური სული და მისი ღირებულებები. ყოველივე ხელს შეუწყობს 2024 წლის თამაშების შემდეგ მყარი მემკვიდრეობის დატოვებას.“

რინგზე

# ასეთი იყო...

**უკვე გაუწყეთ, რომ რინგის მეფის — მუჰამედ ალის (კასიუს კლეი) 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი აუქციონზე, 6,18 მილიონ დოლარად გაიყიდა.**

ვფიქრობთ, კრივის მოყვარულებს დააინტერესებთ მის მწვრთნელთან — ანჯელო და:ნდისთან დაკავშირებული ისტორიის ფრაგმენტები, რომელსაც ჩვენი ძვირფასი კოლეგის — აკა მორჩილაძის (**გიო ახვლედიანი**) კრებულიდან „სარბიელში“ გთავაზობთ:

**„ვის, ვის და საკრივო საქმე ანჯელო დანდის ნამდვილად მოეკითხება. ყველამ ვიცით, რომ ამ სახელოვან მწვრთნელს მუჰამედ ალი (კასიუს კლეი) აღუზრდია. ვიცით, რომ როგორც კი დანდი ბიჭს შეხედავდა, სათვალის სწორებით წაიბურტყუნებდა: „მე ამისგან გავაკეთებ“...**

ლუის როდრიგესი პროფესიონალად კუბაზე შეიქნა, მაგრამ 1959 წელს, 22 წლისა, ამერიკაში ჩავიდა, რადგან ხედავდა, რომ სიერა — მაესტრას მთებიდან ჰავანაში შეჭრილი ფიდელის ლაშქარი მის პროლიცენზიას თავზე გადაახევდა.

„ველთერის“ ოდინდელ ჩემპიონ ვირჯილ აკინსთან პირველივე ბრძოლაშ,ი ქულებით გამარჯვების შემდეგ როდრიგესი ანჯელო დანდის ხელში აღმოჩნდა და კარიერის საუკეთესო წლები სწორედ მის ქურაში იწრთობოდა.

ანჯელო დანდი: **„ოქრო, ოქრო ბიჭი იყო, საუცხოო ადამიანი. ერთი ხალისი იყო მის გვერდით ყოფნა. ალის ძალიან უყვარდა, რადგან ლუისი მოცინარი და მხიარული ვინმე იყო. მე ასე მგონია, რომ მუჰამედ ალიმ ბევრი რამ შეითვისა მისი ხასიათიდან.**

**როცა ლუისზე ვლაპარაკობ, ჯერ კაცი მახსენდება, მერე კი მისი საკრივო ოსტატობა. ასეთები ახლა აღარ არიან. იშვიათია ასეთი ტექნიკა და არტისტიზმი, ასეთი სისწრაფე“...**

# სენაკი სიახლეებით გვახარებს...



**ბევრის შემძლეა ახალგაზრდული ენერგია. ახალგაზრდული შემართება და სწრაფვა. რაც შეეხება მათ ფანტაზიას ამოუწურავია. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ სენაკის რაიონში თვალსაჩინოა განახლება. ეს ეხება ინფრასტუქტურას, სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების, ქუჩების, სკვერების კეთილმოწყობას. გამრავლდა შინაარსიანი და მაღალ დონეზე ორგანიზებული კულტურული ღონისძიებები, რომელიც მოიცავს მოსახლეობის ყველა ფენას.**

ყოველივე ამის ორგანიზატორია სენაკის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა მერი ბატონი ვახტანგ გადელია, მერის პირველი მოადგილე ბატონი გრიგოლ ბაღათურია, ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ბატონი ბადრი ქუთელია.

რაც უკანასკნელ ჟამს თვალშისაცემია, ეს გახლავთ ქალაქის ცენტრში არსებული დასვენების პარკის რეაბილიტაცია, რომელიც მთავრობის ხელშეწყობით განხორციელდა.

გული სიხარულით გევსება, როცა ხალხით სავსე დასვენების პარკს ხედავ. ისმენ ბავშვებისა და ახალგაზრდების ჟრიამულს. ასწლოვან პარკს, რომელსაც ცად აწვდილი და ლაღად ტოტებგაშლილი ხეები ამშვენებს. დაემატა უნგრული ცაცხვი, იტალიური ფიჭვი, კედარი, ოქროსფერი ტუია, ნეკერჩხალი, კვიდო და ფოტინია... ხელახლა მოპირკეთდა სავალი ბილიკები, დაიდგა ლამაზი სკამები, მოეწყო ღამის განათება.

ამ ყველაფერს ეშხს სძენს ის, რომ პარკის ცენტრში დგას შინმოუსვლელთა ეპოპეის ამსახველი, უნიკალური მემორიალი, აღმოსავლეთით ესაზღვრება ჩვენი გენიალური არტისტის, აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ნაგებობა, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. აქვეა გმირი წურწუმიას ძეგლი და ქვეყნის ერთიანობისთვის დაღუპულთა მშვენიერი მემორიალი.

პარკის დასავლეთით, ორმოცდაათ მეტრში, აღმართულია იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარი, რომლის ზარების გუგუნი და საკმევლის სასიამოვნო სურნელი მოაქვს სიოს.

**ლამაზი, შინაარსიანი დასვენებისთვის აქ შესანიშნავი გარემოა. ქალაქის ცენტრში პატარა ოაზისი შეიქმნა. ამიტომ იზიდავს ყველა ასაკის ადამიანს. იმედია, მომავალში ვიხილავთ კიდევ უფრო მშვენიერ და განახლებულ პატარა, მაგრამ კოპწია კოლხურ ქალაქ სენაკს.**

**ბორის დავითაია,**
**სენაკის საპატიო მოქალაქე.**



# ქუთაისის „ჰუალინგის“ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ფართოვდება

**მთავრობის გადაწყვეტილებით, ქუთაისში „ჰუალინგის“ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა რამდენიმე ჰექტარით გაფართოვდება. შესაბამის შეთანხმებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კომპანია „ჰუალინგს“ შორის მოეწერა ხელი.**

როგორც შეთანხმების გაფორმების შემდეგ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, „ჰუალინგის“ ქუთაისის ინდუსტრიული ზონის გაფართოება საშუალებას მისცემს კომპანიას განახორციელოს დამატებითი ინვესტიციები და დაასაქმოს ასობით მოქალაქე.



**„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თანამედროვე ინდუსტრიული ზონის ჩამოყალიბება, სადაც ყველა პირობა იქნება შექმნილი იმისთვის, რომ მოხდეს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა და მოსახლეობის დასაქმება. კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ რამდენიმემილიონიანი დამატებითი ინვესტიცია განახორციელოს სწორედ ამ შესაფერისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და ასობით ადამიანი დაასაქმოს უახლოეს წლებში“,** — აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

# ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობა დასრულდა

**დავასრულეთ ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს ძალიან საინტერესო საცავს წლების განმავლობაში დაგროვილი მნიშვნელოვანი არტეფაქტებისათვის. აღნიშნულმა მუზეუმმა შესაძლებლობა მოგვცა, ყველა ეს უნიკალური ნივთი განთავსდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად,** — ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი შენობის დათვალიერებისას განაცხადა.



მისი თქმით, შენობაში გათვალისწინებულია როგორც საგამოფენო, ასევე ადმინისტრაციული, საკონფერენციო და სხვა საზოგადოებრივი სივრცეები და საცავები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი კლიმატური კონტროლით.

**„შეიძლება ითქვას, რომ ახალი მუზეუმით ონს შეემატა კიდევ ერთი ძალიან კარგი და ეფექტური სივრცე კულტურული, შემეცნებითი, საგანმანათლებლო და საჯარო ღონისძიებებისთვის,“** — განაცხადა ქარსელაძემ.

# ამბროლაურში დიალიზის სერვისი ამოქმედდა

**ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ადგილობრივ ბენეფიციარებს, დიალიზის თერაპიის ჩასატარებლად, სხვადასხვა რეგიონში უწევდათ ჩასვლა, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან, დამატებით დროსა და ხარჯებთან იყო დაკავშირებული.**



ამბროლაურში, „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ სამედიცინო დაწესებულება, დიალიზისთვის საჭირო სამედიცინო აპარატურით სრულად აღიჭურვა. პირველ ეტაპზე, ბენეფიციარებს, სამეგრელოდან და იმერეთიდან მოწვეული სპეციალისტები მოემსახურებიან, უახლოეს მომავალში კი მათ სამინისტროს მიერ გადამზადებული სპეციალისტები ჩაანაცვლებენ. ამ ეტაპზე, დიალიზის სერვისს, ამბროლაურში 15-მდე პაციენტი იღებს, მომდევნო კვირიდან კი აღნიშნული მომსახურებით, მიმდებარე მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში მცხოვრები, 25-მდე ბენეფიციარი ისარგებლებს. დიალიზის თერაპიის დანერგვასთან დაკავშირებით, ამბროლაურში ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე იმყოფებოდა. როგორც ილია ღუდუშაურმა განმარტა, მესტიისა და ამბროლაურის შემდეგ, აღნიშნული სერვისი ლანჩხუთში, თიანეთსა და ყაზბეგში ამოქმედდება. ჯანდაცვის მინისტრმა რეგიონებში დიალიზის სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა, 2022 წლის აპრილში დააანონსა.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ბაზისბანკის“ (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლე) განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გიორგი გურგენიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გურგენიძე (პ/ნ 60001147393), თბილისი, ჩაჩავას ქ. 4, სართ. 4, ბინა 19

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, ჩაჩავას ქ. 4, სართ. 4, ბინა 19 (საკადასტრო კოდი: 01.13.02.004.063.01.01.019).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 102113.46 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 8 აგვისტო, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 18 აგვისტო, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP81225322;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 812253

6. **მოვალე:** გიორგი გურგენიძე (პ/ნ 60001147393), თბილისი, ჩაჩავას ქ. 4, სართ. 4, ბინა 19.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP81225322; ლოტის ნომერი: 812253).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 18 აგვისტოს 10:00 საათამდე.

**ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!**

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 104 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



# დიდგორის ტური

**5 აგვისტოს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების, ფაზისის აკადემიისა და კავშირი „გიორგის“ გაერთიანებულმა ექსპედიციამ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში მოღვაწე 37 პიროვნება გააერთიანა და დიდგორისკენ გზას გაუყენა...**

დიდგორის ბრძოლის — ძლევაი საკვირველის 901 წლისა და დიდი დავით აღმაშენებლის გამარჯვებების პატივსაცემად ექსპედიციამ შემოიარა 120-კილომეტრიანი მარშრუტი: თბილისი-წიწამური-მცხეთა-არმაზი-ძეგვი-ნიჩბისსერი-დიდგორი-დიდი თონეთი-კოჯორი-ტაბახმელა-კრწანისი-თბილისი.

აღნიშნული მოგზაურობა დიდგორამდე 15 და დიდგორის შემდეგ ცხრა საუკუნის განმავლობაში საქართველოში განვითარებული უმნიშვნელოვანესი მოვლენების მომცველ 12 სიმბოლურ გაჩერებას მოიცავდა. **ტურის მონაწილენი ერთ დღეში გაეცნენ მრავალი კულტურის ძეგლს, თანამემამულეთა საგმირო საქმეებსა და სხვა ისტორიულ ამბებს, რომლებიც წინაპართა საკვირველ ცხოვრება-მოღვაწეობას უკავშირდება.**



ვრცლად გაზეთის მორიგ ნომერში.

# „შუამთობა“ აჭარის მთიანეთში

**მაღალმთიან აჭარაში, კურორტ ბეშუმში, შუამთობის სახალხო დღესასწაული გაიმართა. ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს. მათი ცნობით, ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. თორნიკე რიჟვაძემ მოწვეულ სტუმრებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შუამთობის დღესასწაული მიულოცა და აღნიშნა, რომ მთის განვითარება მთავრობის პრიორიტეტად რჩება.**

სახალხო დღესასწაული უხუცესთა ანსამბლმა „ბერმუხამ“ გახსნა. ღონისძიება კონცერტით გაგრძელდა, რომელშიც ქართული ესტრადის ვარსკვლავებთან ერთად, ადგილობრივი ფოლკლორული და შემოქმედებითი კოლექტივები მონაწილეობდნენ.

საკონცერტო ნაწილის შემდეგ, გაიმართა სპორტული შეჯიბრებები მკლავჭიდში, ქართულ ჭიდაობაში და დოღში.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო საბავშვო აქტივობები, სპეციალური ინსტალაციები, დეკორაციები, კვების ობიექტები. მუნიციპალიტეტის ხეობების მიხედვით მოწყობილ ეთნოგრაფიულ კუთხეებში ტრადიციული კერძების, რეწვის ნიმუშების, ძველი საყოფაცხოვრებო ნივთების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. სტუმრებმა ადგილზე დააგემოვნეს აჭარული ტრადიციული კერძები. **„შუამთობა“ უძველესი სახალხო დღესასწაული, რომელიც ტრადიციულად აგვისტოს პირველ შაბათ-კვირას ტარდება. მასში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობა მონაწილეობს.**



# 2022 წლის ყველაზე მოდური ცნობილი ადამიანი



**ჟურნალ Tatler-ის ბრიტანული ვერსიის რედაქტორებმა კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტ მიდლტონი 2022 წლის ყველაზე მოდურ ცნობილ ადამიანად დაასახელეს. შესაბამისი რეიტინგი გამოცემის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

ჟურნალისტებმა სხვადასხვა ფესტივალისა თუ დაჯილდოების წითელ ხალიჩებზე და საჯარო ღონისძიებებზე ვარსკვლავების ჩაცმულობა შეაფასეს. მეორე ადგილზე ზიმბაბველი ბლოგერი ვიმბაი მასიივა, მესამეზე კი მოდელი ფრეია ასპინალი.

# ჭკუის სასწავლებელი აფერა მეცნიერულად...

**საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისიის დირექტორმა და მეცნიერების შესახებ რადიოგადაცემის წამყვანმა ძეხვის სურათი ტელესკოპ „ჯეიმს ვების“ მიერ გადაღებულ ფოტოდ გაასაღა.**

ეტიენ კლაინმა ფოტო Twitter-ზე გამოაქვეყნა წარწერით: „პროქსიმა ცენტავრას ფოტო, მზესთან უახლოესი ვარსკვლავის, რომელიც ჩვენგან 4,2 სინათლის წელიწადის მანძილზე მდებარეობს. სურათი ტელესკოპ „ჯეიმს ვებით“ არის გადაღებული. დეტალიზაციის დონე.. ყოველდღე ახალ სამყაროებს ვპოულობთ“, — დაწერა კლაინმა. თუმცა მოგვიანებით მეცნიერს ბოდიშის მოხდა მოუწია, რადგან მისი 92 მილიონი გამომწერიდან ბევრმა დაიჯერა, რომ ფოტოზე რეალურად ვარსკვლავია.



**„თავს ვალდებულად ვთვლი დავაზუსტო, რომ ეს ტვიტი უბრალოდ ხუმრობა იყო. მოდით ვისწავლოთ ყველაფერში არ ვენდოთ ავტორიტეტულ შეტყობინებებსა და კაშკაშა გამოსახულებებს. მინდა ბოდიში მოვუხადო ყველას, ვისთვისაც ჩემი ორიგინალობას მოკლებული მისტიფიკაცია შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. უბრალოდ მოგიწოდებთ, ფრთხილად იყავით კადრებთან, რომლებიც, პირველი შეხედვით, გარკვეული ინფორმაციის მატარებლები არიან“,** — დაწერა მეცნიერებმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ თავისი ტვიტით სოციალურ ქსელებში ფეიკების გავრცელების საკითხზე უნდოდა ყურადღების მიქცევა. ტელესკოპი „ჯეიმს ვებ“ NASA-მ ევროპული და კანადურ კოსმოსურ სააგენტოების დახმარებით შექმნა. პროექტის ღირებულება 10 მილიარდი დოლარია. ტელესკოპი კოსმოსში 2021 წლის 25 დეკემბერს გაუშვეს, ივლისში კი მისი მეშვეობით გადაღებულ პირველი ფოტოები გამოქვეყნდა.

# გიგანტური მედუზების ახალი სახეობა

**პაპუა-ახალი გვინეის სანაპიროსთან მყვინთავმა დორიან ბორჩერდსმა გიგანტური ნახევრად გამჭვირვალე მედუზა გადაიღო. ABC News-ის ცნობით, ზღვის ბიოლოგმა ლიზა-ენ გერშვინმა ჩანაწერი შეისწავლა და დაასკვნა, რომ ბორჩერდსმა აქამდე უცნობი სახეობის მედუზა აღმოაჩინა.**



ახალი სახეობის მედუზა ფეხბურთის ბურთის ზომისაა და Chirodechtes Maculatus-ს ჰგავს, რომელიც ბოლოს 1997 წელს ავსტრალიის სანაპიროსთან ნახეს. ახალ სახეობას ჯერჯერობით სახელწოდება არ აქვს. ლიზა-ენ გერშვინის აღმოჩენა მისმა კოლეგებმა უნდა დაადასტურონ.

# საშინელი წყალდიდობა პაკისტანში

**ძლიერი წვიმით გამოწვეული წყალდიდობის შედეგად პაკისტანში სულ მცირე 549 ადამიანი დაიღუპა. დაზიანებულია 46 200 სახლი. სახელისუფლებო სააგენტოებმა და ჯარმა სტიქიით დაზარალებულებისთვის დროებითი ბანაკები გახსნეს, სადაც მათ საკვებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფენ.**

ამასთან, ადგილობრივი მთავრობა აცხადებს, რომ სტიქიის შედეგებთან გასამკლავებლად მეტი სახსრებია საჭირო და დახმარებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 აგვისტოს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7178; ევრო - 2.7806
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2959;
100 რუბლი - 4.4781; თურქული ლირა - 0.1522;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6029;
1000 სომხური დრამი - 6.7023.

**ამინდი 8 აგვისტოსთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +21 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +16, | დღე +33 |
| თბილისი: | ღამე | +22, | დღე +32 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge